



საბჭოთა სამართალი

ს.ს.ს.რ.
იუსტისსახკომის
იჩკპირჰუდი
იჩბანთ

№ 2

31 იანვარი
1929

შინაარსი

- ნ. ლენინი—ორმაგ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ.
- თ. დილიძე—პრესა და პროკურატურა.
- ს. ტერ-გრიგორიანი—სასამართლოს განაჩენი და ვადამდე პირობითი განთავისუფლება.
- ი. როინაშვილი—სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსის პროექტის შესახებ.
- ი. ავაქიძე— სისხ. სამართ. კოდ. 582^ა მუხლის შესახებ.
- ა. აღნოვი—დაწესებულების პასუხისმგებლობა იმ ქონების მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის, რაც სათანადო წესით ჩაბარებულია — დაწესებულებისათვის ან თანამდებობის პირისათვის.
- ა. კუსიკოვი—ძველ სამუშაო ადგილზე აღდგენის უპირატესი უფლების შესახებ.
- ბ. ჯინჭარაძე—მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის საკითხები.
- ს. ქავთარაძე — იურისკონსულტთა ბიუროს მნიშვნელობა და მისი ამოცანები.
- ი. კალანდაძე—დამცველთა კოლეგიის შესახებ.
- ვლ. დუმბაძე —საბჭოთა კავშირის შრომა-გასწორების პრინციპები და მეთოდები.
- ე.ვლ. ენუქიძე—ლეონ დიოგი.

იურიდიული დახმარება.
სხვა და სხვა.
ბიბლიოგრაფია.
ქანონმდებლობის მიმოხილვა.
ოფიციალური ნაწილი.



34 (05)
ს 13.

ს ა ბ ჯ ო თ ა ს ა მ პ რ თ ა ლ ი

საქართველოს სოციალისტურ
საბჭოთა რესპუბლიკის
იუსტიციის სახალხო
კომისარიატის ორგანიზებული
===== ე შ უ რ ნ ა ლ ი =====

=====
ფელიწადი მგოსა
=====

№ 2

პასუხისმგებელი რედაქტორი **შ ა ლ ვ ა მ ა თ ი კ ა შ ვ ი ლ ი**

სარედაქციო კოლეგია

{ ი. ტალახაძე
თ. დოლიძე
ბ. ბერაძე
პროფ. შ. ნუცუბიძე
კონს. მიქელაძე
ევდ. ენუშიძე



6. ლენინი

ორგანო დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ *)

ამხ. სტალინის პოლიტიბიუროსათვის.

საკითხმა პროკურატურის შესახებ ცენ. კომიტეტის კომისიაში, რომელიც დანიშნული იყო სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მუშაობაზე ხელმძღვანელობისათვის, გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. თუ ეს აზრთა სხვადასხვაობა არ იწვევს საკითხის ავტომატიურათ პოლიტიბიუროში გადატანას, მაშინ მე ჩემის წხრივ ამ საკითხს იმდენათ მნიშვნელოვნათ ვსთვლი, რომ წინადადებას ვიძლევი გადატანილი იქნეს იგი პოლიტიბიუროში გადასაწყვეტად.

ამ აზრთა სხვადასხვაობის არსი მდგომარეობს შემდეგში: სრულიად საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ამორჩეულ კომისიის უმრავლესობამ პროკურატურის საკითხში გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ საპროკურორო ზედამხედველობის ადგილობრივი წარმომადგენლები ინიშნებოდნენ ცენტრის მიერ და მხოლოდ ცენტრს ექვემდებარებოდნენ. უმრავლესობა მოითხოვდა ე. წ. „ორმაგ“ დაქვემდებარებას, რომელიც დაწესებულია საერთოდ ყველა ადგილობრივ მუშაკებისათვის, ე. ი. მათ დაქვემდებარებას ერთის მხრივ ცენტრისადმი სათანადო სახალხო კომისარიატის სახით, და მეორეს მხრივ ადგილობრივ საგუბერნიო აღმასკომისადმი.

იმავე უმრავლესობამ სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიისა, უარპყო საპროკურორო ზედამხედველობის ადგილობრივ წარმომადგენლების უფლება გაასაჩივრონ კანონიერების თვალსაზრისით ადგილობრივ საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის და საერთოდ ადგილობრივი ხელისუფლების ყოველგვარი გადაწყვეტილებანი.

მე ვერ წარმომიდგენია თუ რა საბუთით შეიძლება იქნეს დაცული ასეთი აშკარად შემცდარი გადაწყვეტილება სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიის უმრავლესობისა. მე მესმოდა მხოლოდ ისეთი მოსაზრებანი რომ ზემოხსენებულ შემთხვევაში, „ორმაგი“ დაქვემდებარებას დაცვა არის კანონიერი ბრძოლა ბიუროკრატიულ ცენტრალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა ადგილებისათვის საჭირო დამოუკიდებლობისათვის და ცენტრის მედიდურობის წინააღმდეგ საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტების მიმართ. ვანა არის მედიდურობა იმ შეხედულებაში, რომ კანონიერება არ შეიძლება

*) წერილი ამოღებულია ჟურ. „Еженед. Сов. Юст.“ № 17. რედაქცია.

იყვეს კალუგისა ან ყაზანისა, არამედ უნდა იყოს მთლიანი სრულიად რუსეთისა და ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკებისათვისაც-კი? ძირითადი შეცდომა, იმ შეხედულების რომელმაც გაიმარჯვა სრულიად საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის კომისიის უმრავლესობაში, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი „ორმაგი“ დაქვემდებარების პრინციპს სწორათ არ იყენებენ. „ორმაგი“ დაქვემდებარება საჭიროა იქ სადაც უნდა გახვალისწინებული იქნეს ნამდვილათ არსებული თავისებურებანი. მიწად-მოქმედება კალუგის გუბერნიაში ისეთივე არ არის როგორც ყაზანისაში, ეს ეხება აგრეთვე მთელ მრეწველობას. იგივე უნდა ითქვას მთელ მართვაგამგეობის საქმეზედაც. თუ ყველა ამ საკითხებში ანგარიში არ გაეწია ადგილობრივ თავისებურობებს, ეს იქნებოდა ბიუროკრატიული ცენტრალიზმი, ეს იქნებოდა ადგილობრივ მუშაკებისათვის ხელის შეშლა ადგილობრივ თავისებურობების იმ გაოვალისწინებაში, რომელიც გონიერ მუშაობის საფუძველს წარმოადგენს.

კანონიერება ერთი უნდა იყოს და მთელი ჩვენი ცხოვრების მთელი ჩვენი უკულტურობის მთავარ ბოროტებას წარმოადგენს ნახევრათ ველური ხალხის შეხედულებათა და ჩვეულებების საუკუნოებრივი წმინდა რუსული პასივობა, იმ ხალხის, რომელსაც სურს შეინარჩუნოს კალუგის კანონიერება განსხვავებით ყაზანის კანონიერებისაგან უნდა გვახსოვდეს, რომ საპროკურორო ზედამხედველობას ყოველგვარ ადმინისტრატიულ ორგანოებისაგან განსხვავებით არავითარი ადმინისტრატიული ხელისუფლება არა აქვს და არცერთ ადმინისტრატიულ საკითხში არავითარი გადამწყვეტი ხმით არ სარგებლობს. პროკურორს უფლება აქვს და ვალდებულია მხოლოდ—თვალყური ადევნოს მთელს რესპუბლიკაში კანონიერების ერთნაირი გაგების დამყარებას, ყოველივე ადგილობრივ პირობების სხვაობის მიუხედავად და ყოველგვარ ადგილობრივ გაოვალისაგან დამოუკიდებლად. პროკურორის ერთადერთი უფლება და მოვალეობაა—საქმის გადაცემა სასამართლოსათვის გადასაწყვეტად. როგორი არიან ეს სასამართლოები? ჩვენ ადგილობრივი სასამართლოები გვაქვს. მოსამართლეები ირჩევიან ადგილობრივ საბჭოების მიერ. ამიტომ ის ხელისუფლება, რომელსაც პროკურორი გადასცემს გადასაწყვეტად მის მიერ აღძრულ საქმეს კანონის დარღვევის შესახებ, არის ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც ვალდებულია, ერთის მხრივ, აბსოლიუტურად დაიცვას მთელ ფედერაციისათვის დაწესებული მთლიანი კანონები, და მეორეს მხრივ, ვალდებულია სასჯელ ღონისძიების განსაზღვრისას ანგარიში გაუწიოს ყველა ადგილობრივ გარემოებათ. ამასთან მას აქვს უფლება სთქვას, რომ თუშცა ამ შემთხვევაში კანონი იყო დარღვეული, მაგრამ ამა და ამ გარემოებამ, რომელსაც კარგათ იცნობს ადგილობრივი მოსახლეობა, და რომელიც გამოირკვა ადგილობრივ სასამართლოში აიძულა სასამართლო შეემსუბუქებია სასჯელი ამა და ამ პირთა მიმართ ან თუნდაც ეცნო ესა და ეს პირნი გამართლებულათ. თუ ჩვენ არ გავატარებთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ამ ელემენტარულ პირობას, მთელ ფედერაციაში ერთიანი კანონიერების დასაწესებლათ, მაშინ ზედმეტია ლაპარაკი კულტურობის შექნაზე და დაცვაზე.

ასევე შემცდარია პრინციპიალურად ის აზრი, რომ პროკურორს არ უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტების და

სხვა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებანი; თითქოს კანონიერების თვალსაზრისით ეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საქმე იყოს.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია სჯის არა მარტო კანონიერების, არამედ მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც. პროკურორი პასუხს აგებს იმისათვის, რომ არცერთი გადაწყვეტილება ადგილობრივ ხელისუფლებისა არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს და მხოლოდ ამ თვალსაზრისით არის პროკურორი ვალდებული გაასაჩივროს ყოველგვარი უკანონო გადაწყვეტილება. ამასთანავე პროკურორს არა აქვს უფლება შეაჩეროს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ის ვალდებულია მხოლოდ მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მთელ რესპუბლიკაში კანონიერების აბსოლიუტურად ერთნაირი გაგება დამკარდეს.

ამიტომ სრულიად საკავშირო ცენტრალური კომიტეტის კომისიის უმრავლესობის გადაწყვეტილება წარმოადგენს არა მარტო უდადეს პრინციპიალურ შეცდომას, არა მარტო უკმცდარათ იყენებს „ორმაგ“ დაქვექდებარებას პრინციპს არამედ სპობს შესაძლებლობას ყოველგვარ მუშაობისა, რომელიც მიმართული იქნება კანონიერების და თუნდაც მინიმალური კულტურობის დაწესებასაც.

აღნიშნულ საკითხის გადასაჭრელად ჩვენ ანგარიში უნდა გაუჭიოთ კიდევ ადგილობრივ გავლენის მნიშვნელობას. ექვს გარეშეა, რომ ჩვენში ბევრ უკანონობას აქვს ადგილი და რომ ადგილობრივი გავლენა არის ერთი უდიდესი მოწინააღმდეგეთაგანი კანონიერების და კულტურობის დაწესებისა. საექვთა ვინმეს არ გაეგონოს იმის შესახებ, რომ პარტიის წმენდის დროს ადგილებზე პირადი ანგარიშის გასწორების ბევრი შემთხვევები გვექონდა. ეს უდავო და მეტათ მნიშვნელოვანი ფაქტია. არა მგონი რომ ვინმემ უარჰკოს ის გარემოება, რომ ჩვენი პარტიისათვის გაცილებით უფრო ადვილია შეარჩიოს ათეული საიმედო კომუნისტებისა, რომელნიც სათანადოთ მომზადებული იქნებიან იურიდიულათ და რომელნიც შესძლებენ წინააღმდეგ ყოველგვარ წმინდა ადგილობრივ გავლენას, ვიდრე გამოძებნოს რამოდენიმე ასეული ასეთივე ამხანაგებისა.

აი სწორეთ ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, როდესაც ლაპარაკობენ პროკურატურის „ორმაგ“ ან მის მხოლოდ ცენტრისადმი დაქვემდებარებაზე.

ჩვენ უნდა შევარჩიოთ ცენტრში ათიოდე ისეთი ადამიანი, რომელიც შესძლებენ განახორციელონ ცენტრალური საპროკურორო, ხელისუფლება გენერალური პროკურორის უზენაეს ტრიბუნალის და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სახით (მე არ ვეხები საკითხს იმის შესახებ სარგებლობს თუ არა გენერალური პროკურორი ერთპიროვნულ ხელისუფლებით თუ ინაწილებს მას უზენაეს ტრიბუნალთან და იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიასთან, რადგან ეს საკითხი სრულიად მეორეხარისხიანი საკითხია და შეიძლება დადებით თუ უარყოფითად გადაიჭრას იმის მიხედვით ანდობს პარტია ასეთ ვეებერთელა ხელისუფლებას ერთ პირს თუ გაანაწილებს მას აღნიშნულ სამ ინსტანციის შორის). ეს ათი კაცი რომელიც ცენტრში იმყოფებიან მუშაობენ სამი პარტიულ დაწესებულების უახლოეს მეთვალყურეობის ქვეშ და მათთან უშუალო კონტაქტში. ეს სამი დაწესებულება წარმოადგენს მაქსიმალურ გარანტიას ადგილობრივ და პირად გავლენის წინააღ-

მდგ. ეს დაწესებულებანი არიან: ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურო, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიურო და ცენტრალური საკონტროლო კომისია, თანაც ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მხოლოდ პარტიის ყრილობის წინაშე და ისე არის აგებული რომ ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებს არ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე თანამდებობის შეთავსება არცერთ სახალხო კომისარიატთან, არცერთ ცალკე უწყებასთან და საბჭოთა ხელისუფლების არცერთ ორგანოსთან. ცხადია ასეთ პირობებში ჩვენ ვვაქვს მაქსიმალური გარანტია იმისა რომ პარტია შეჭმნის მცირერიცხოვან კოლეგიას, რომელიც შესძლებს წინ აღუდგეს ადგილობრივ გავლენებს, ყოველგვარ ბიუროკრატიზმს და დააწესოს მთელ რესპუბლიკაში ერთნაირი კანონიერება.

ამ ცენტრალური იურიდიული კოლეგიის შესაძლებელი შეცდომები იქვე ადგილობრივ შესწორებულ იქნებიან იმ პარტიულ ორგანოების მიერ, რომელნიც აწევებენ საერთოდ ძირითად დეტულებებს და ყველა ძირითად წესს პარტიულ და საბჭოთა მუშაობისათვის მთელ რესპუბლიკაში.

თუ ამას გვერდს აღუხვევთ—ეს იმას ნიშნავს, რომ გავატაროთ ის აზრი, რომელსაც არავინ არ იცავს პირდაპირ და აშკარად, სახელდობრ, თითქოს ჩვენში იმდენად განვითარებულია კულტურობა და მასთან მჭიდროთ დაკავშირებული კანონიერება, რომ თამამათ შეგვიძლია შევარჩიოთ, რამოდენიმე ასეული ისეთი პროკურორი, რომელნიც წინააღუდგებიან ყოველგვარ ადგილობრივ გავლენას და შესძლებენ თავისთავად მთელ რესპუბლიკაში ერთნაირ კანონიერების დაწესებას.

საბოლოოდ მე იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ „ორმაგი“ დაქმდებარების დაცვა პროკურატურის მიმართ და მის მიერ ადგილობრივ ხელისუფლების ყოველგვარ დადგენილების გასაჩივრების უფლების ჩამორთმევა არა მარტო პრინციპიალურათ შემცდარია, არა მარტო ხელს უშლის ჩვენ ძირითად ამოცანას კანონიერების შეუფერხებლათ გატარებისა არამედ გამოსახავს ინტერესებს და ცრუ შეხედულებებს ადგილობრივ ბიუროკრატიისა, და ადგილობრივ გავლენისა, ე. ი. ყოველივე იმისა რაც მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მშრომელთა მასების და ადგილობრივ, ცენტრალურ და აგრეთვე რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ხელისუფლების სრულ გაერთიანებისათვის.

ამიტომ მე წინადადებას ვაძლევ ცენტრალურ კომიტეტს უარჰყოს ამ შემთხვევაში „ორმაგი“ დაქმდებარება დააწესოს ადგილობრივ საპროკურორო ხელისუფლების დაქმდებარება მხოლოდ ცენტრისადმი, შეანარჩუნოს საპროკურორო ხელისუფლებას უფლება და მოვალეობა გაასაჩივრონ ადგილობრივ ხელისუფლების ყოველგვარი გადაწყვეტილება და დადგენილება კანონიერების თვალსაზრისით, მაგრამ ისე, რომ მათ არ ჰქონდეთ უფლება შეაჩირონ ეს დადგენილებანი, არამედ გადასცენ საქმე სასამართლოს გადასაწყვეტად.

20 მაისი 1922 წელი.

პრესა და პროკურატურა

ცენტრალური პროკურატურა უკვე შეუდგა ზოგიერთი მაზრის პროკურატურის მუშაობის გამოკვლევას. გამოკვლევის მთავარი მიზანია გამოაშკარავება და შესწავლა იმ ნაკლისა და დეფექტებისა, რომლებსაც მაზრის პროკურორების მუშაობაში აქვს ადგილი და შემდეგ სათანადო ღონისძიებათა გამომუშავება მათ გამოსასწორებლად. დაგროვილ მასალებიდან ნათლად სჩანს, რომ მაზრის პროკურორებსა და მუშაოფლკორებს შორის კავშირი ჯერ-ჯერობით სუსტია. ისინი თითქმის მოწყვეტილნი არიან ერთი მეორისაგან, და მათ შორის დღემდის არავითარი ორგანიული კავშირი არ არსებობს. ეს არანორმალური მდგომარეობაა. მისი ასე უყურადღებოთ დატოვება მომავალში მიუტოვებელი დანაშაული იქნებოდა.

პრესა საუკეთესო იარაღია როგორც მიღწევების, ისე დეფექტებისა, შეცდომებისა, დაუდევრობისა თუ ბოროტმოქმედების აღსანიშნავად და გამოსამჟღავნებლად. მაგრამ მარტო პრესა ვერაფერს გააკეთებს, თუ მას დახმარება არ გაუწია იმ ორგანოებმა, რომლებიც ამისათვის არიან მოწოდებულნი. მთავარი მისი დამხმარე და მოკავშირე ამ შემთხვევაში არის პროკურატურა. პრესაც თავის მხრით მარჯვენა ხელი არის პროკურატურისა. ეს ორი ერთი მეორეს ავსებენ და ეხმარებიან. ეს ორი ორგანო ერთ მიზანს ემსახურება და ამიტომ მათ შორის განუწყრელი კავშირი უნდა იყოს გაბმული. თვითუფლ მაზრაში უნდა შეიქმნას მუშგლმეხკორთა ბიურო და ამ ბიუროებთან მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული მაზრის პროკურორი. თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ მუშკორების და სოფლკორების მიერ პრესაში მოთავსებული შენიშვნები უმრავლეს შემთხვევაში ჰაერში გამოკიდებული დარჩება და მათ არავითარი რეალური შედეგი არ მოყვება. პროკურორი ვალდებულია ყოველთვის ესწრებოდეს მუშგლმეხკორთა საერთო კრებას და აქტიურ მონაწილეობას იღებდეს მის მუშაობაში; ის ამ კრებას პერიოდულად მოხსენებებს უნდა უკეთებდეს რეგოლიუციონურ კანონიერების გატარებაზე და არკვევდეს თუ ამ მიხნით რა როლის თამაში შეუძლია მუშგლმეხკორის მოღვაწეობის შესაფერ დონეზე დაყენებას. ეს დღეს ასე არ ხდება არამც თუ მაზრებში, არამედ არ არის მოწესრიგებული თვით ტფილისშიაც კი. მჭიდრო კავშირი რედაქციებსა და ტფილისის მაზრა-ქალაქის პროკურატურის შორის ჯერ კადეგ ვერ არის დამყარებული. სამუშაბროთ ჯერ ერთხელაც არ ყოფილა მოწვეული მუშგლმეხკორთა თათბირი პროკურატურის მონაწილეობით. ეს, აშკარაა, ჩვენი მუშაობის მინუსათ უნდა ჩაითვალოს მაგრამ თუ ეს ასეა დღემდის, არ შეიძლება ასეთი მდგომარეობა მომავალშიაც გაგრძელდეს.

პრესაში მოთავსებულ შენიშვნებს პროკურატურის მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. ამ მხრით ცენტრალურმა პროკურატურამ უკვე გამოიმუშავა ერთნაირი სისტემა. ამ სისტემით თვითუფლი მაზრის პროკურორი ვალდებულია თვალყური ადევნოს პრესაში მოთავსებულ გამაწბილებელ შე-



ნიშვნებს და მოკვლევის თუ გამოძიების მოხდენით შეამოწმოს მათი სისწორე და სინამდვილე. ამავე მიზნით ცენტრალურ პროკურატურაში ერთ პროკურორს მინდობილი აქვს პრესაში გამაწილებელ შენიშვნებისათვის თვალყურის დევნება, და ის საჭირო შემთხვევაში ადგილობრივ პროკურორებს ამა თუ იმ შენიშვნების შესამოწმებლად აძლევს საჭირო მითითებებს და მათგან ითხოვს ცნობებს მოკვლევისა თუ გამოძიების შედეგებზე. ერთი სიტყვით, ადგილებზე ამ მხრით ადგილობრივი პროკურორები მუშაობენ, ცენტრალური პროკურატურა კი საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს მათ. ამ ნაირად, შეიძლება ითქვას, რომ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით პრესაში მოთავსებული შენიშვნები საპროკურატურო ზედამხედველობას გამოყენებული აქვს მთლიანად როგორც მასალა სათანადო მსჯელობის მისაცემად. შენიშვნების შინაარსი უმრავლეს შემთხვევაში მართლდება და პროკურორი სძრავს სისხ. სამ. წესით საქმეს, მაგრამ არის შემთხვევა, როცა შენიშვნებში სიცრუე და სიყალბე არის. ამ შემთხვევაშიაც პროკურორი ვალდებულია ყალბ კორესპონდენტის წინააღმდეგ აღძრას სისხლის სამ. წესით დევნა. ყველაფერი ეს ასე უნდა იყოს კანონით, მაგრამ სამწუხაროთ სინამდვილეში, უნდა გამოვტყდეთ, ეს ასე ვერ ხდება. ძალიან იშვიათია, რომ ცრუ მუშგლეხკორი ყოფილიყოს მიცემული პასუხისგებაში. ამაში უმთავრესად თვითონვე ვართ დამნაშავე. ჩვენ, პროკურორებს არც ერთი ასეთი შემთხვევა არ უნდა გავგეპაროს მხედველობიდან. უნდა ვიცოდეთ, რომ მახინჯები მუშგლეხკორთა შორისაც მოიპოვებიან. იმათ შეცდომაში შეყავთ ჩვენი რედაქციები და პრესის ფურცლებზე ათავსებენ შეუსაბამო გამაწილებელ ცნობებს, რასაც ხშირად შედეგათ მოსდევს უანგარო და პატიოსანი მუშაკის უსაფუძვლოდ ტალახში ამოსვრა და გალანძღვა-გაბახება. ასეთი ცრუ მუშგლეხკორები ჩვენ შეგვაძლია ორ კატეგორიით გავყოთ: პირველ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისეთები, რომლებიც წინასწარი მოსაზრებით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტერნი და ჩვენთან სხვა და სხვა ხრიკებით შემოტმასნებულნი, პირადი ინტერესით აღჭურვილნი, ცდილობენ ამა თუ იმ პატიოსან მუშაკს ჩირქი მოსცნონ და მით მუშათა ხელისუფლებას ზიანი მიაყენონ. მეორე კატეგორიის ჯგუფს წარმოადგენენ ისეთები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მტერნი შეიძლება არ იყვენ, მაგრამ თავიანთ წმინდა მოვალეობის აღსრულებას ფრთხილად არ ეკიდებიან, პასუხისმგებლობას დიდათ არ გრძნობენ და ამიტომ ხშირად ქუჩაში მოჭორილ და შეუმოწმებელ ცნობებს აწვდიან რედაქციებს და ეს უკანასკნელნი შეცდომაში შეყავთ. ამით ისინი დათვურ სამსახურს უწევენ, როგორც საერთოდ ჩვენს ხელისუფლებას, ისე იმ ორგანოს რომელშიაც ისინი „თანამშრომლობენ“. როგორც ერთს, ისე მეორე ჯგუფს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. არც ერთი შემთხვევა ცრუ მუშგლეხკორის გამოძიებებისა პროკურორმა პასუხისგებაში მაუცემლად არ უნდა დასტოვოს. ამით დიდათ შეუწყობთ ხელს ჩვენს რედაქციებს და დახმარებას გაუწევთ რათა **სლისერანკებებს** და მის მგზავსებს ადგილი არ ჰქონდეთ მუშგლეხკორთა რიგებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროკურატურას პრესაში მოთავსებულ გამაწილებელ შენიშვნებისათვის თვალყურის დევნება მოწესრიგებული აქვს, მაგრამ მას აუცილებლად უნდა დაერთოს მუშგლეხკორთა ბიუ-



როების მოწყობა ადგილებზე, მათთან პროკურატურის მიერ ორგანიული კავშირის დაქვერ, თათბირების ხშირად მოწვევა და მათთვის პროკურორის მიერ მოხსენებების გაკეთება და სხვა. თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, მაშინ მუშგლესკორთა მოძრაობის გაჯანსაღება ზზრუნველყოფილი იქნება და როგორც პროკურატურა, ისე პრესა უნაკლოდ შეასრულებენ იმ წმინდა მოვალეობას, რომელიც მათ საბჭოთა ხელისუფლებამ და ნისმა ხელმძღვანელმა კომუნისტურმა პარტიამ დააკირსა.

14/1-1929 წ.

ს. ტარ-ბრიტოკიანი.

სასამართლოს განაჩენი და ვადამდე პირობით განთავისუფლება.

თანახმათ საბჭოთა სისხლის სამ. ძართად დებულებისა სოციალურ დაცვის ღონისძიებათა შეფარდება შემდეგი მიზნით შეიძლება: ა) ბოროტმოქმედებათა ჩადენის წანსწარ ასაცდენად; ბ) საზოგადოებრივად საშიშ ელემენტებისათვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსასპობად და გ) შრომა-გასწორებითი ზეგავლენის მოსახდენად მსჯავრდადებულებზე და მათი მსაგუებლად მშრომელთა სახელმწიფოს ცხოვრების საერთო პირობებთან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიებანი მიზნად არ უნდა ისახედენ სამაგიეროს გადახდის პრინციპის განხორციელებას.

აღნიშნული დებულება გარკვეულად ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ სასჯელი არის სოციალურ დაცვის ერთ-ერთი ღონისძიებათაგანი. საბჭოთა სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველი არ არის არც შურისძიება, არც სამაგიეროს გადახდა ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის და არც სამართლიანობის გრძნობის დაკმაყოფილება, არამედ სასჯელი არის საშუალება საზოგადოების დაცვის იმისაგან, რასაც ამხ. ლენინი: „ექსცესებს“ უწოდებდა.

ამიტომ სასამართლოს ორგანოებს ეძლევათ ფართო შესაძლებლობა აირჩიონ სოციალურ დაცვის ისეთი ღონისძიება, რომელიც შესძლებს ყოველ ცალკე შემთხვევაში ბოროტმოქმედის გამოსწორებას.

სოციალურ დაცვის ღონისძიების შეფარდებას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, როდესაც მისი განხორციელება მიზანშეწონილია და ჰკარავს თავის მნიშვნელობას იმ შემთხვევაში, თუ ბოროტმოქმედი უკვე სოციალურად საშიში ელემენტი აღარ არის ან თვით ქმედობა, ხანდაზმულობის გამო, მნიშვნელობას ჰკარავს. სწორეთ ამ მიზნით, საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია მუხლი, რომლის ძალითაც შესაძლებელია ვადამდე პირობით განთავისუფლება დარჩენილ სასჯელის მიხდისიგან, ისეთ მსჯავრდადებულების, რომელთაც გამოსწორება ეტყობათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვადამდე განთავისუფლების შეფარდება შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ, ასე რომ ის პირი, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა და რომელმაც სასჯე-



ლის ნახევარი მოიხადა, შეიძლება სრულებით განთავისუფლებულ იქნას დასავლეთი ჩინეთის სასჯელისაგან ან შესაძლებელია სასამართლოს მიერ არჩეული ღონისძიება შეეცვალოს უფრო მსუბუქ ღონისძიებით თუ ის კარგი ყოფაქცევის არის და გასწორების ნიშნები ემჩნევა. ამგვარ მიზნებს ისახავენ არა ერთხელ გამოცემული ხელისუფლების მიერ კერძო და ზოგადი ამნისტიები.

მოყვანილი დებულებები იმდენად უდავო და ნათელია, რომ თითქო არც კი უნდა გამოიწვიონ წინააღმდეგობა, მაგრამ ავტორების მთელი რიგი, იუსტიციის მუშაკნი, თავის წერილებში, რომელნიც სხვადასხვა იურიდიულ ჟურნალებშია მოთავსებული, თუმცა პრინციპიალურად სცნობენ აღნიშნულ დებულებებს მაგრამ წინააღმდეგი არიან ვადამდე განთავისუფლების პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების. მათი აზრით, ვადამდე განთავისუფლება, პატიმრებისათვის სამუშაო დღების ჩათვლა და ამნისტიების მთელი რიგი, ხელს უწყობს სასამართლოს განაჩენის მნიშვნელობის დაცვას და მას არა რეალურად აქცევს, რაც ძირს უთხრის საბჭოთა სახელმწიფოს დამსჯელ პოლიტიკას. როგორც მაგალითი მათ მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ის პირნი, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის გამოტანიდან ერთი ან ორი წლის შემდეგ თავისუფლად სეირნობდნენ.

ამ საკითხით დაინტერესდა ბოროტმოქმედების და ბოროტმოქმედთა შემსწავლელი სახელმწიფო ინსტიტუტი და მიზნად დაისახა გამოერკვია ის, თუ რომელი ნაწილი სასამართლოს მიერ დაწესებულ ვადის ფაქტიურად მოხდილი იყო პატიმრების მიერ და ამ მიზნით დაამუშავა 125000 მსჯავრდადებულთა პირადი ბარათი, სათანადო ანკეტურ ცნობებით. ამ მუშაობის ჩატარების შემდეგ გამოირკვა, რომ მსჯავრდადებულნი იხდიდნენ 70 პროც. სასამართლოს მიერ დაწესებულ სასჯელს: მკვლელები თავისუფლებიან 46 პროც. მოხდის შემდეგ; სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაში 48 პროც. მოხდის შემდეგ; მექრთამენი—54 პროც.; თანამდებობითი სიყალბის ჩამდენნი—58 პროც.; მფლანგველები—64 პროც. და ხულიანები—64.

ინდივიდუალურად. ზოგიერთ ტემთხვევაში, ციფრები იძლევიან ასეთ სურათს: მკვლელები მძარცველები—87 პროც.; მფლანგველები—88 პროც.; ბანდიტები—9 ა პროც.

გარდა ამისა 1926 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, ვადამდე განთავისუფლებულია 22,5 პროც., 1927 წლის პირველ ნახევარში 14,2 პროც. და მეორე ნახევარში 8,1 პროც.

აღსანიშნავია, რომ ვადამდე განთავისუფლების შეფარდება ყველაზე უფრო ხშირად იმ პირთა მიმართ სწარმოებდა, რომელთაც დაედოთ მსჯევრი ყოფა-ცხოვრებითი (მართობე) ბოროტმოქმედების ჩადენის გამო, რაც უმეტეს შემთხვევაში მათი უფიცობით აიხსნებოდა და აღმოჩნდა, რომ ვადამდე განთავისუფლების შეფარდების დროს კლასიური მიდგომის და მიზანშეწონილების პრინციპები სავსებით დაცული იყო.

მოყვანილი დებულებები სავსებით უარყოვენ აღნიშნულ ავტორების დებულებებს, იმის შესახებ, რომ ჩინი დასჯითი პოლიტიკა სავსებით არა ტარდება, რის გამო განაჩენი ჰკარგავს სიმტკიცეს და მოჩვენებითი ხდება.

ინსტიტუტის ცნობებმა პირიქით დაადასტურეს ის აზრი, რომ სასამართლოს და შრომითი-გასწორების ორგანოების მოღვაწეობა, მიუხედავად ზოგიერთ დევექტისა, დაკავშირებულია ერთი მიზნით. ბოროტმოქმედის შეგუება საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმალურ პირობებთან და მათი მუშაობის პოლიტიკა ამ მიმართულებით სწორედ მიმდინარეობდა. ხელისუფლებას არა ჰქონდა საბაზი საპატიმროებში დაეტოვებინა ისეთი პირები, რომელნიც ასეთი მძიმე სოციალურ დაცვას არ საჭიროებდნენ და არ წარმოადგენდნენ საფრთხეს საბჭოთა წესწყობილებისათვის.

ეს დებულება ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითად აზრს, რომ ყოველი სასჯელი მიზანშეწონილი უნდა იყოს და მიზანშეწონილება არის პირველი და უმთავრესი საწყისი ჩვენი დასჯითი პოლიტიკის, რომლის ქვეშაც უნდა ვიგულისხმოთ სასჯელის შეთანაბრება იმ მიზანთან, რომელსაც ისახავს საბჭოთა ხელისუფლება ამ საკითხში.

ამის გამო ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი, განსხვავდება ბურჟუაზიულ კოდექსებისაგან იმით, რომ დაცვითი ზომების კომპლექსი იცავს რეველუციონურ პროლეტარიატის ინტერესებს და არა ბურჟუაზიის. ეს კოდექსი ამავე დროს არის საშუალება პროლეტარიატის პოზიციების გასამაგრებლად სოციალიზმისაგან კომუნაზმისაკენ გარდამავალ მომენტში.

ი. როინაშვილი

სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსის პროექტის შესახებ *).

ჩვენ არ შეგვირდებათ იმ შედარებით მცირე მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რომელთა შეტანა საჭიროა სისხ. სამ. საპრ. მოქმედ კოდექსში მისთვის უფრო მკაფიო და ნათელი სახის მიცემის მიზნით და მოკლედ შევეხებით იმ ზოგიერთ მომენტს, რომელსაც, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ პროექტში საჭიროა უფრო მკაფიოდ გაესვას ხაზი კვლევა-ძიების და პროკურორატურის ორგანოთა ურთი-ერთ დაქვემდებარებულობას, ამასთანავე გამოძიებლებს უნდა მიენიჭოს უფრო ფართო უფლებები საქმეთა აღძვრას დარგში, კვლევა-ძიების სხვა ორგანოებზე ზედამხედველობის და სხვ. დარგში. მაგრამ იბადება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება დავაკისროთ გამოძიებელს სასამართლოში ბრალმდებლად გამოსვლა, როგორც ეს რსფსრ-შია მიღებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი უარყოფითად უნდა იქნეს გადაჭრილი. სისხლის სამართლის საპროცესო ჩვენი მოქმედი კოდექსით კვლევა-ძიებისა და ზედამხედველობის ფუნქციები მტკიცედ არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული და

*) დასაწყისი იხ. საბჭ. სამ. № 1. დისკუსიის წესით.



მათი გაერთიანება ერთ პიროვნებაში დაუშვებელია. კანონის ეს მოთხოვნა წარმოადგენს უბრალო ფორმალობას, იგი საჭიროა იმისათვის, რომ პროკურატურამ შესძლოს უფრო სრული ზედამხედველობა გაუწიოს კვლევა-ძიების ორგანიზაციებს. მაგრამ ამისა, საბჭოთა პროკურორს რომელიც სასამართლოში უმთავრესად რეგულიაციონური კანონიერების დამცველი და გამტარებელი არის, მოეთხოვება სრული ობიექტივობა. საქმე იმაშია, რომ სასამართლო გამოძიების დროს შესაძლებელია გამოირკვეს ისეთი გარემოებანი, რომლებიც ნათელყოფენ პროკურორისათვის წინასწარი კვლევა-ძიების დეფექტებს, მის ცალმხრივობას, არა სწორ მიდგომას, როგორც დანაშაულის, ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ. ასეთ შემთხვევაში პროკურორის მოვალეობას შეადგენს სათანადო დასაყენა მისცეს სასამართლოში და მომავალშიც მიიღოს საჭირო ღონისძიებები. ცხადია, რომ რეგულიაციონურ კანონიერების სადარაჯოზე მდგომ პროკურორს არ შეუძლია ასეთ შემთხვევებში მხარი დაუჭიროს ისეთ ბრალდებას, რომელიც, მისი რწმენით, არ არის საკმაოდ დასაბუთებული, მაგრამ არ შეიძლება ამასვე მოველოდეთ გამოძიებისასგან, როდესაც იგი ბრალმდებლად გამოვა სასამართლოში ისეთ საქმეზე, რომელზედაც იგი თვით აწარმოებდა წინასწარ კვლევა-ძიებას, ეკვი რომ არ შეეიტანოთ მის სრულ კეთილსინდისიერებაში, მაინც ადვილი შესაძლებელია, რომ იგი კეთილსინდისიერად სცდებოდეს და ვერ ამჩნევდეს კვლევა-ძიების დეფექტებს.

რაც შეეხება იმას, რომ პროკურორს მიენიჭოს უფლება თვით აწარმოოს წინასწარი კვლევა-ძიება, ეს საკითხიც უარყოფითად უნდა იქნეს გადაჭრილი ასეთივე მოსაზრებებით.

რსფსრ-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტის 10 მუხ. 3 ნაწილის თანახმად „პროკურორს უფლება აქვს იკისროს როგორც ცალკე საგამომძიებლო მოქმედება, ისე კვლევა-ძიება ყოველ საქმეზე“.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ ადევნებს ასეთ შემთხვევაში თვალყურს კვლევა-ძიების წარმოებას, ვინ აძლევს სამართალში ან ვინ სპობს საქმეს, სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტით ღიად არის დატოვებული.

თუ ამ ზედამხედველობის განხორციელება დაევალება ზემდგომ პროკურორს, მაშინ, ის პროკურორი, რომელიც წინასწარ კვლევა-ძიებას აწარმოებს, იგივე გამოძიებელია და გაუგებარია, თუ რისთვისაა საჭირო ამ საგამომძიებლო ფუნქციების მინიჭება მისთვის. ხოლო უკეთეს იგი თვითვე ანხორციელებს ზედამხედველობას, სამართალში მიცემას და სხვ., რომ ფუნქციების ასეთი არევა ყოველად დაუშვებელია, რადგანაც შეუძლებელი ხდება კონტროლის გაწევა წინასწარ კვლევა-ძიებისათვის როგორც თვით წინასწარი კვლევა-ძიების წარმოების დროს, ისე აქმის შემდგომ მსვლელობის დროსაც.

ამ რიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა ძალაში დავტოვოთ ის დებულება, რომელიც მიღებულია სისხლის სამართლის საპროცესო ჩვენი კოდექსით, ე. ი., ერთის მხრივ, არ მივანიჭოთ გამოძიებელს სასამართლოში გამოსვლის უფლება, ხოლო, მეორეს მხრივ, პროკურორს—წინასწარი კვლევა-ძიების წარმოების უფლება. მართალია, იუსტიციის სახალხო კომისარიატის დებულებით სა-

პროკუროროს განყოფილებას დაკისრებული აქვს „გამოძიების წარმოება სრულსა და დასრულებულს“ საქართველოს ცაკისა და საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს წინადადებით და რესპუბლიკის პროკურორისა ან რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწის და საპროკურორო განყოფილების გამგის დაავალებით“. (5 მუხ. „ე“ პ.) მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ უამად საჭიროა თვით ამ დებულებას გადაამუშავება. კერძოდ საქ როა მეტი გარკვეულობის შეტანა ზემოაღნიშნულ დებულებაში იმ მხრივ, თუ რა ჰქონდა აქ კანონს მხედველობაში.—მარტოოდენ მეთვალყურეობის დაავლება საპროკურორო განყოფილებისათვის ისეთ გამოძიებაზე, რომელსაც ნორმალური წესით იუსტიციის სახალხო კომისარიატთან განწესებული გამოძიების ორგანოები აწარმოებენ, თუ აქ კანონს მხედველობაში ჰქონდა უბრალო გამოძიება, რომელიც არ არის დაკავშირებული სისხ. სამ. საპრ. კოდ. ნორმებთან და რომელიც ევალება საპროკურორო განყოფილების ერთ-ერთ პროკურორს. მაგრამ, კიდევ რომ მივიღოთ, რომ აქ კანონს მხედველობაში ჰქონდა სწორედ „წინასწარი კვლევა ძიების“ წარმოება, ასეთ შემთხვევაშიც უნდა ჩაითვალოს, რომ ამ დებულებას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, რომ მისი შეფარდება შეიძლება ნხოლოდ ხელისუფლების ზემდგომ ორგანოების განკარგულებით. ამიტომ არ მოიპოვება არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ იგი შეტანილ იქნეს სისხ. სამ. საპრ. კოდექსში როგორც საერთო წესი და პროკურატურას მიენიჭოს უფლება თავის შეხედულებით აწარმოოს „წინასწარი კვლევა-ძიება“.

დანარჩენი ცალკე მომენტები, რომლებზედაც გვსურს შეჩერება, ეხება თვით წინასწარი კვლევა-ძიების წარმოებას. მაგრამ სანამ კერძო საკითხებზე გადავიდოდეთ, ჩვენ შევჩერდებით ერთ საერთო საკითხზე, რომელსაც ფრიად არსებითი მნიშვნელობა აქვს.

რსფსრ-ის იუსტიციის სახ. კომისარიატის კომისიამ სისხ. სამ. საპრ. ახალი კოდექსის ფორმის შესახებ გამოსთქვა, სხვათა შორის აზრი, რომ კოდექსი „უნდა შეიცავდეს მუხლების მინიმალურ რიცხვს და ეს მუხლები უნდა განსაზღვრავდენ პროცესის ძირითად დებულებებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ, სწორედ ამ დირექტივის თანახმად, სისხ. სამ. საპრ. ახალი კოდექსის შემმუშავებელმა კომისიამ მაქსიმალურად შეამცირა მუხლების რიცხვი და იმ დროს, როდესაც რსფსრ-ის სისხ. სამ. საპრ. მომქმედი კოდექსი შესდგება 465 მუხლისაგან, პროექტი შეიცავს მხოლოდ 181 მუხლს. მაგრამ ამ პროექტის სულ ზერელედ გადასინჯვის დროსაც ადვილი შესამჩნევია, რომ მუხლების რიცხვის ასეთი შემცირება წარმოადგენს ზოგიერთ შემთხვევაში სისხ. სამ. საპრ. კოდ. რამოდენიმე მუხლის პროექტის ერთ მუხლად ხელოვნურად შეერთების შედეგს და ეს შემცირება და ამ რიგად კოდექსის გამარტივება წმინდა გარეგნულ ხასიათს ატარებს. გამარტივებათ შეიძლება ჩაითვალოს მუხლების რიცხვის მხოლოდ ისეთი შემცირება, როდესაც მცირდება თვით იმ დებულებათა რაოდენობა, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამ მუხლებში. ხოლო უკეთეს დებულებათა რაოდენობა იგივე რჩება და მცირდება მარტოოდენ მუხლების რიცხვი, ასეთი შემცირება არამც თუ არ შეიძლება განმარტივებად ჩაითვალოს, არამედ, პირიქით, რამდენიმე დებულების ერთ მუხლში შეერთების გამო ხშირად ძნე-

ლი ხდება კოდექსით ხელმძღვანელობა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ცალკე დებულებას ეკარგება სიცხადე. მეორეს მხრივ, უდავოდ უნდა იქნეს აღიარებული, რომ კანონი მოკლედ და მკაფიოდ უნდა იქნეს დაწერილი, რათა იგი ადვილად გასაგები იყოს სხვათაგან და მათ შესძლონ ამ კანონით ხელმძღვანელობა. შემდეგ, მასალა კოდექსში განსაზღვრული სისტემით უნდა იქნეს დალაგებული, სახელდობრ, მუხლები კოდექსში ისეთი თანამიმდევრობით უნდა იქნენ მოთავსებული, როგორც შეფერვა საქმის მსვლელობას პროცესის სხვა და სხვა სტადიაში, და ბოლოს კოდექსიდან გამორიცხულ უნდა იქნეს ყველა ზედმეტი დებულება, რომელიც ტყუილ-უბრალოდ ართულებს კოდექსს. მხოლოდ მუხლების რიცხვის ასეთი შემცირება შეიძლება ჩაითვალოს კოდექსის გამარტივებად. მაგრამ ესეც, პროფ. გროძინსკის აზრით, (Вестник Советской Юстиции № 22 1928 г., стр. 655), რომელსაც ჩვენ საესებოთ ვიზიარებთ, „შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე, რის შემდეგ ეს შენეობა ჰკარგავს თავი-აზრს და გაუმჯობესების ნაცვლად მხოლოდ აუარესებს კოდექსს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ანოცანას შეადგენს ამოსწორის სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის ყველა მომენტი, გააშუქოს მისი თანდათანობითი გამოკვლევა და განხილვა სხვადასხვა ინსტანციაში სისხ. სამ. საქმის ეს მოძრაობა არსებითად მცტად რთულია, რადგანაც დაკავშირებულია მრავალ მოქმედებასთან დამამტკიცებელ საბუთების მოგროვებისა და განხილვის დარგში და მთელ რიგ იმ ღონისძიებათა მიღებასთან რაც უზრუნველყოფს საქმის სწორი გამოკვლევისა და განხილვის შესაძლებლობას. ამიტომ სისხლის სამართლის პროცესი თავის არსებით ფრიად რთულია, აქედან კი გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის განმარტივებასაც მისი სისტემის მხრივ გარკვეული საზღვარი აქვს და ამ საზღვარის გადალახვა საქმისათვის ზიანის მიუყენებლად შეუძლებელია. კერძოდ ეს ითქმის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების რიცხვის შესახებ. იმდენად, რამდენად კოდექსი მრავალ სხვადასხვა გვარ მოქმედებას უნდა ეხებოდეს, არ შეიძლება მუხლების რიცხვი მცირე იყოს, რა ღონისძიებაც არ უნდა იქნეს მიღებული ამისათვის და სისხ. სამ. საპრ. კოდ. მუხლების გადაჭარბებული შემცირება უთუოდ ხელოვნური იქნება“.

წერილის დასასრულში აღვნიშნავთ, თუ როგორი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, პროექტის სისტემა და გარეგნული ფორმა. ამ ყამად კი ჩვენ იმისათვის შევეჩეთ მუხლების რიცხვის შემცირების საკითხს, რომ აღვენიშნა, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს და, კერძოდ, რა გავლენა იქონია ამ შემცირებამ რსფსრ-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტში წინასწარ კვლევა-ძიების სტადიაზე მასში საჭირო სისრულისა და გარკვეულობის შეტანის მხრივ.

სისხ. სამ. საპრ. ჩვენი მომქმედი კოდექსის 112 მუხლით გამომძიებელს ევალება დაჰკითხოს მოწმეებს და ექსპერტებს და შეაგროვოს სხვა დამამტკიცებელი საბუთები ბრალდებულის ან დაზარალებულის თხოვნით, უკეთუ ამ გარემოებებს მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, და შემდეგ 113 მუხლით განსაზღვრულია თუ რა გარემოება ჩაითვლება საქმისათვის, მნიშვნელობის მქონე გარემოებად. რსფსრ-ის კოდექსში ასეთი განსაზღვრა არ მოიპოვება და ამით კვლევა-ძიების ორგანოებიც და სასამართლოც მოკლებულნი არიან ფრიად მნიშვნელო-

ვან განმარტებას წინასწარი კვლევა-ძიების საკითხებში. ეს გარემოება პროექტის საგრძნობ დეფექტად უნდა ჩაითვალოს და მან არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ იქონიოს საქმეზე მისი წინასწარი გამოკვლევის სისრულის მხრივ. თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში იმ პრინციპებს რომლებიც უდევს საფუძვლად ჩვენი სასჯელის პოლიტიკის ან პენიტენციალურ სისტემას, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ განმარტებლობა იმისა, თუ რა მიმართულებით უნდა იქნეს წარმოებული საქმის კვლევა-ძიება (ჩვენი მოქმედი კოდ. 113 მუხ.), წარმოადგენს ისეთ ნაკლს, რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საბჭოთა სისხ. სამ. კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების სწორ განხორციელებაზე. რსფსრ-ის პროექტის 44 მუხლი ვერ ავსებს ამ ნაკლს და საჭიროა უფრო სრულად და გარკვევით შეჩერება ამ საკითხზე ჩვენი პროექტის გამომუშავების დროს.

შემდეგ საჭიროა შევჩერდე თ მოწმეების, ექსპერტების, თარჯიმნების და თანამოწმეების პასუხისმგებლობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი თავს არიდებენ დაკითხვაზე გამოცხადებას ან უარს ამბობენ მათზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაზე. სისხ. სამ. საპრ. ჩვენი მოქმედი კოდექსის 59, 61 და 64 მუხლების თანახმად უკეთეს მოწმე ან ექსპერტი დაბარებული მოკვლევისა ან გამოძიების ორგანოს მიერ, არ გამოცხადდება პატივსაღები მიზეზის გარეშე ან უარს იტყვის თავის მოვალეობის შესრულებაზე, მოკვლევისა ან გამოძიების სათანადო ორგანო ვალდებულია შეადგინოს ამის შესახებ ოქმი და საქმე ასეთი მოწმის ან ექსპერტის შესახებ წარმართოს უახლოეს სახალხო სასამართლოში სასამართლოს ბრძანების წესით განსახილველად სისხ. სამ. კოდექსის სათანადო მუხლების შეფარდებით. გარდა ამისა მოწმის ან ექსპერტის საპატიო გარემოების გარეშე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოკვლევის ან გამოძიების ორგანოს უფლება აქვს იძულებით მოიყვანოს ისინი.

უკეთეს მოწმე ან ექსპერტი არ გამოცხადდა სასამართლოში, გადასახდელს დაადებს იმ საქმის განხილველი სასამართლო, რომლის გამოც იყო მოწმე დაბარებული. ჩვენის აზრით, ასეთი წესი ტყუილ-უბრალოდ აჭიანურებს საქმეს. რატომ არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული კვლევა-ძიების ორგანოს ან გამომძიებლებს მინც უფლება თვით დაადონ გადასახდელი იმ მოწმეს ან ექსპერტს, რომელიც პატივსაღები მიზეზის გარეშე არ გამოცხადდა დაკითხვაზე. მეორედ დაბარების ან იძულებით მოყვანის შემდეგ აღვილი გამოსარკვევია, თუ რა იყო მისი გამოუცხადებლობის მიზეზი, და თუ ეს გამოუცხადებლობა მოხდა პატივსაღებ მიზეზის გარეშე, გამომკვლევით ორგანო თვით უნდა აღებდეს გადასახდელს დაბარებულ პირს. ასეთივე წესი უნდა იყოს მიღებული აგრეთვე ისეთ შემთხვევისათვის, როდესაც მოწმე ან ექსპერტი უარს ამბობენ თავის მოვალეობათა შესრულებაზე. ჩვენ არ ვეხებით აქ ამ საკითხის დეტალებს, როგორცაა, მაგალითად, შემდეგი: კვლევა-ძიების ორგანოს შეიძლება მიენიჭოს უფლება დაადოს გადასახდელის სახით, მაგალითად იძულებითი მუშაობა ორ კვირამდე და ჯარიმა 10 მა-

ნეთამდე, ხოლო უკეთესი საქმის გარემოებათა მიხედვით, კვლევა ძიების ორგანოს აზრით, ეს ღონისძიება არ იქნება საკმარისი, მას ენიჭება უფლება გადასცეს საქმე სასამართლოს; სოციალური დაცვის ღონისძიება, სახელდობრ ჯარიმა, რომელიც გათვალისწინებულია სისხ. სამ. კოდ. 93 მუხ. 1 ნაწილით, შემცირებულ უნდა იქნეს 100 მანეთამდე; საჭიროა, აგრეთვე, სისხ. სამ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებითა შეთანხმება სისხ. სამ. კ. დექსთან და მათი შეესება თარჯიმნებისა და თანამოწმეთა აღნიშვნით და სხვ. აქ ჩვენ საკითხს მხოლოდ პრინციპიალურად ვსვამთ და თუ იგი დადებითად იქნა გადაჭრილი ამ დეტალების დამუშავება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოდ მოწმის ჩვენება დამამტკიცებელ საბუთების ყველაზე უფრო მიღებულ და მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს სისხ. სამ. პროცესში. აი რატომ არის, რომ საკითხი მათი გამოცხადების უზრუნველყოფისა და აგრეთვე მათი დაკითხვით წესი ნათლად უნდა იქნეს განსაზღვრული სისხ. სამ. საპრ. კოდექსში. არ შეიძლება გამართლებული იქნეს პროცესის ისეთი გამარტივება, რომელიც გამოიწვევს რაიმე გაუგებრობას ამ საკითხში.

მოწმეთა პასუხისპელობა, რის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემოდ, მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, დაკითხვის დრო, ადგილი და თვით წესი—ყოველივე ეს ნათლად უნდა იყოს გარკვეული თვით კოდექსში და არ უნდა საჭიროებდეს მთელ რიგ ცირკულიარებს და განმარტებებს, რომლებიც მხოლოდ ართულებენ და ამძიმებენ სასამართლოს ორგანოთა მუშაობას. პრაქტიკაში ხშირად იბადება ისეთი საკითხი, რომელიც არ არის განმარტებული არა მარტო მომქმედი კოდექსით, არამედ არც ცირკულიარებით და არც სხვა რაიმე გზით. ასეთია, მაგალითად, შემდეგი საკითხები: აგებს თუ არა პასუხს დაკითხვაზე გამოუცხადებლობისათვის მოწმე, უკეთეს მას იბარებდნენ ისეთი ადვოკატიდან, რომელიც გამოძიების წარმოების რაიონის გარეშე იმყოფება? არსებობს თუ არა მანძილის ისეთი საზღვრითი ნორმა, რომლის იქით მოწმეს უფლება აქვს არ გამოცხადდეს დაკითხვაზე?

როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მოწმის გამოცხადება იმ შემთხვევაში, როდესაც მასი პირადი დაკითხვა მაინც აუცილებლად საჭიროა, მაგალითად, როდესაც საჭიროა მისთვის ბრალდებულთა წარდგენა და სხვ..

რსფსრ-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტი ნაწილობრივ (რაც საკმაო არ არის) ავსებს ამ ნაკლს და აწესებს, მაგალითად, რომ მოწმის დაბარება დაშორებულ ადგილებიდან ხდება ზედამეტყველ ორგანოსთან შეთანხმებით. მაგრამ მიუღებლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პროექტში სრულიად გამორიცხულია მომქმედი კოდექსის 165 მუხ. მოთხოვნა მოწმეთა დაკითხვის წესის შესახებ, სახელდობრ ის, რომ მოწმეთა ჯერ წინადადება ეძლევა მოუყვეს სასამართლოს ყოველივე, რაც მან საქმეზე იცის, და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა მას ცალკე კითხვები. კანონის ეს მოთხოვნა არ წარმოადგენს უბრალო ფორმალობას. მოწმის ასეთი დაკითხვით უზრუნველყოფილია მოწმისაგან დაწვრილებითი ცნობების მიღება საქმის ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც მან იცის.

ასეთი წესი შესაძლებლად ხდის მოწმისგან ხშირად ისეთი ცნობის მიღებასაც, რომელსაც დამკითხველი პირი სრულებით არ მოელოდა მისგან. ხოლო შემდეგ, მოწმის მოთხოვნაში გამოცდილი გამომკვლევი შესძლებს გაარჩიოს, თუ რასა აქვს მნიშვნელობა საქმისათვის და ამის მიხედვით დაუსვას მოწმეს კითხვები; ამრიგად, ზემოაოყვანილ მოსაზრებებით, ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია 165 მუხლის გამოორიცხვა სისხ. სამ. საპრ. კოდექსიდან.

დასასრულ ჩვენ გვსურს შევჩერდეთ კიდევ ერთ დებულებაზე, რომელიც წამოყენებულია რსფსრ-ის სისხ. სამ. საპრ. კოდ. პროექტით. ჩვენი მომქმედი კოდექსის 60 მუხლის თანახმად, იმ პირთა რიცხვში, რომელთაც მოწმედ დაბარება და დაკითხვა არ შეიძლება, შეტანილია აგრეთვე ბრალდებულის დამცველი. რსფსრ-ის პროექტის 24 მუხლში დამცველი გამოორიცხულია ამ პირთა რიცხვიდან. რით არის ეს გამოწვეული? ერთის მხრივ, ამ კანონის მოქმედება, უგუველია, არას ნაშთი ძველი მეფური პროცესისა, რომლის თანახმად, პროცესიონალურ საიდუმლოების არსებობასთან დაკავშირებით, მოწმედ დაკითხული არ შეიძლებოდა ყოფილიყო. „ნაფიცი ვეჩილი და სხვა ისეთი პირი, რომელიც სამართალში მიცემულის დამცველის მოვალეობას ასრულებდა — ისეთი გარემოების შესახებ, რაც მას მიანდო მარწმუნებულმა მის შესახებ აღძრულ საქმის წარმოების დროს“ (Уст. Уг. Суд.).

მოყვანილი დებულებიდან სჩანს, რომ აქ მხედველობაში ჰქონდათ პროცესიონალური საიდუმლოების დაცვა. საბჭოთა კანონმდებლობა არ იცავს პროცესიონალურ საიდუმლოებას და სისხ. სამ. საპრ. კოდ. 60 მუხლიდან არ შეიძლება იმის დასკვნა, რომ საბჭოთა კანონმდებლობას პროცესიონალური საიდუმლოების დაცვა ჰქონდეს მხედველობაში. თუ კი მიუხედავად ამისა, ეს მუხლი მაინც იქნა შეტანილი სისხ, სამ. საპრ. კოდ. ეს ვარაუდება ნაკარნახევი იყო სულ სხვა ხასიათის მოსაზრებებით. საქმე ისაა, რომ დამცველის დაკითხვას მოწმედ მის მიერ დასაცავი პირის საქმეზე შეუძლიან გაუძნელოს დამცველს თავისი მოვალეობის შესრულება დაცვის საქმეში, შეუძლიან ჩააგდოს იგი ორქოფულ მდგომარეობაში და მით დაუკარგოს მას მის მიერ დასაცავი პირის ნდობა. სწორედ ამ მოსაზრებით ვუჭერთ ჩვენ მხარს სისხ. სამ. საპრ. კოდ. 60 მუხლის ამ მოთხოვნის შენარჩუნებას ახალ პროექტში.

შემდეგ წერილში შევეხებით საქმის მოსპობასა და სამართალში მიცემას.

ი. აფაქიძე.

სის. სამართ. კოდ. 58²⁴ მუხლის შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსის 58²⁴ მუხლი აწესებს სოციალური დაცვის ღონისძიებას კვალიფიციური კონტრაბანდისათვის, ხოლო განმარტება იმის შესახებ, თუ რა არის კვალიფიციური კონტრაბანდა, მოცემულია ხსენებულ მუხლის დანართში (58²⁴ მ. დანართი), რომლის ძალით კვალიფიციურ კონტრაბანდათ ჩაითვლება:

ა) „საქონლის კონტრაბანდულად გატან-შემოტანა საბაჟოს გარეშე, სპეციალურად საამისოდ მოწყობილი — სატრანსპორტო საშუალებით; ბ) კონტრაბანდული გატან-შემოტანის დროს საქონლის დამალვა სპეციალურად საამისოდ მოწყობილ საცავში“ და სხვ.

კანონის ასეთი რედაქციიდან რითქოს გამოდინარეობს, რომ კონტრაბანდული საქონლის გატან-შემოტანა ისეთი სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც, თუშეცა არ არის ასეთი მიზნისათვის სპეციალურად მოწყობილი, მაგრამ სპეციალურად დანიშნულია კონტრაბანდული ტვირთის გატან-შემოტანისათვის. მაგ: ჩვეულებრივი ნავი, რომლითაც შემოტანილი იქნა დიდ-ძალი კონტრაბანდ-საქონელი, არ წარმოადგენს კონტრაბანდის კვალიფიციურ სახეს და უნდა მოექცეს უბრალო კონტრაბანდის ფარგლებში (83—მ.).

ასეთ მსჯელობას ხშირად აქვს ადგილი სასამართლოში, და შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს ფორმალური დასაყრდენი სწორედ 58²⁴ მუხლის დანართის „ა“ პუნქტის შინაარსში, რომელიც, როგორც უცვლელნიშნეთ, ლაპარაკობს საქონლის კონტრაბანდულად გატან-შემოტანაზე საბაჟოს გარეშე — მხოლოდ ისეთი სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც საამისოდ სპეციალურადაა მოწყობილი.

იყო პრაქტიკაში ასეთი მავალით: ოსმალეთიდან ჩვეულებრივი ნავით, რომელსაც არავითარი სპეციალური მოწყობილობა არ ჰქონდა, შემოტანილ იქნა დიდ-ძალი კონტრაბანდული საქონელი, საქმეში უდაოდ დამტკიცდა, რომ ნავი სპეციალურად გამოყენებულია ამ კონტრაბანდის შემოტანისათვის; მიუხედავად ამისა ბრალდებულების დამცველი, გამოდიოდა რა იმ გარემოებიდან რომ ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებას, როგორც იყო ნავი, არ ჰქონდა სპეციალური მოწყობალობა ორმავე ძირისა ან სხვა რამ ასეთის სახით, სერიოზულად ამტკიცებდა, რომ აქ არ არის კვალიფიციური კონტრაბანდა და ასეთს მსჯელობას ხელს უწყობდა სწორედ 58²⁴ მუხლის დანართის „ა“ პუნქტითელი ტექსტი.

სასამართლომ უარყო დამცველის მიერ წამოყენებული დებულებები და სცნო ბრალდებულების მოქმედებაში კვალიფიციურა კონტრაბანდის ნიშნები 58²⁴ მუხლის დანართის „ა“ პუნქტის მიხედვით. (ეს სავესებით სწორია და ეფარდება კანონის ნამდვილ აზრს).

საქმე იმაშია, რომ 58²⁴ მუხლის დანართით გადმოღებულია უცვლელად სსრკ საბაჟოს წესდების 261—მუხლის შინაარსი, რომლის ძალით კვალიფიციური კონტრაბანდათ, სხვათა შორის, მიჩნეულია საქონლის გატან-შემოტანა საბაჟოს გარეშე სპეციალურად საამისოდ დანიშნული (предназначенный) სატრანსპორტო საშუალებით (პ. ა.), ხოლო იმავე მუხლის პუნქტი „ბ“ ლაპარაკობს კონტრაბანდის გატან-შემოტანაზე საქონლის დამალვით სპეციალურად საამისოდ მოწყობილ საცავში (მაგ. ნავს აქვს ფარული ძირი, რომელშიც დამალულია კონტრაბანდული საქონელი). რა თქმა უნდა, ამ ორ დებულებათა შორის დიდი განსხვავებაა: საბაჟოს წესდების 261—მუხლის „ა“ პუნქტი გულისხმობს საქონლის გატან-შემოტანას ისეთი სატრანსპორტო საშუალებით,

რომელსაც არ აქვს არავითარი სპეციალური მოწყობილობა, მაგრამ რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალურად გამოყენებულ იქნა კონტრაბანდის შემოტანისათვის (მაგ. ბრალდებულმა სპეციალურად გამოიყენა ჩვეულებრივი ნავი დიდძალი კონტრაბანდის შემოზიდვისათვის და სხვ.), ხოლო იმავე მუხლის „ბ“ პუნქტა მიუთითებს იმ საშუალებას, რაც კონტრაბანდის გატან შემოტანისათვის სპეციალურადაა მოწყობილი (მაგ. ორმაგი ძირი და სხვ.).

რამდენადაც კონტრაბანდის გატან-შემოტანა დიდი რაოდენობით ხდება უმთავრესად ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც ამ მიზნისათვის სპეციალურად იქნა გამოყენებული, ცხადია, რომ საბაჟოს წესდების 261—მუხლის „ა“ პუნქტში ისეთ საშუალებაზე მითითება, რაც სპეციალურად დანიშნული იყო კონტრაბანდის გადმოზიდვისათვის, შემთხვევითი მოვლენა არ არის, აქ მოცემულია კონტრაბანდის კვალიფიკაციის განსაზღვრული მომენტი, რომელიც არსებითად განსხვავდება იმავე მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნულ მომენტებისაგან.

ამიტომ საქ. ს. ს. კ. 58¹ მუხლის დანართის „ა“ პუნქტში, რომელიც სიტყვა სიტყვით იმეორებს საბაჟოს წესდების 261—მუხლის შინაარსს, უნდა იყოს მითითება არა იმ საშუალებაზე, რაც სპეციალურად მოწყობილია კონტრაბანდის შემოტანისათვის, როგორც ამას ადგილი აქვს ხსენებულ პუნქტის ქართულ ტექსტში, არამედ ისეთ საშუალებაზე, რაც სპეციალურად დანიშნულია კონტრაბანდის გატან შემოტანისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინის ცუდად თარგმანის შედეგია, მით უმეტეს, რომ 1928 წლ. სისხლის სამართლის კოდ. პროექტის რუსულ ტექსტში 58¹ მუხლის „ა“ პუნქტში „მოწყობილის“ ნაცვლად ნახმარი იყო სიტყვა „დანიშნული“, და რათ ჩამოყალიბდა ასეთ ნაირად „ა“ პუნქტის საბოლოო რედაქცია, თუ არა თარგმანის უსწორობით, ჩვენთვის გაუგებარია.

ასე თუ ისე საჭიროა, რომ ეს გამოსწორებულ იქნას, და 58¹ მუხლის „ა“ პუნქტი გამოითქვას შემდეგ ნაირად: „საქონლის კონტრაბანდულად გატან-შემოტანა საბაჟოს გარეშე, სპეციალურად საამისოდ დანიშნული სატრანსპორტო საშუალებით“.

იმის თქმა, რომ ეს თავისთავად გაქომდინარეობს საბაჟოს წესდების 261 მუხლის შინაარსიდან, რომელიც აძლევს სასამართლოს კანონის ნამდვილი აზრის გაგების სრულ შესაძლებლობას, სწორია, მაგრამ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ საკანონმდებლო ნორმების შედარებითი ანალიზი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ზოგჯერ ძნელია და ზოგჯერ კი შეუძლებელიც.

დაწესებულების პასუხისმგებლობა იმ ქონების მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის, რაც სათანადო წესით ჩაბარებულია დაწესებულებისათვის ან თანამდებობის პირისათვის *)

სახელმწიფო დაწესებულების პასუხისმგებლობა თანამდებობის პირის უმართებულო სამსახურებრივ მოქმედებისათვის საერთო წესის სახით ჩვენში დაწესებული არ არის. პირიქით სამოქ. სამ. კოდ. 407 მუხლი იძლევა ამ საკითხზე უარყოფით პასუხს, სახელდობრ იგი ადგენს, რომ სახელმწიფო დაწესებულება საზოგადოთ პასუხს არ აგებს უმართებულო სამსახურებრივ მოქმედებისათვის, უკეთუ ამის შესახებ არ არის განსაკუთრებული კანონი. ასეთ კანონათ, მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ც. ა. კ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილება ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობის შესახებ კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში მათი უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის. ამ დადგენილების მიხედვით ხელისუფლების ორგანოება ქონებრივად აგებენ პასუხს იმ ზარალისათვის, რომელიც მიყენებულია კოოპერატიულ ორგანიზაციისათვის მის ქვემდებარე თანამდებობის პირების სამსახურებრივ მოქმედებით (კან. და განკ. კრებული 1928 წ. № 15, მუხ. 138).

ახლა განვიხილოთ, რა უმართებულო და უკანონო მოქმედებებზე ლაპარაკობს 407 მუხ. და შევეუარდებოთ თუ არა იგი გაფლანგვას, რომელიც ჩადენილია თანამდებობის პირის მიერ. სწორი აზრი 407 მუხლისა არ სტოვებს ეჭვს, რომ მას აქვს სახეში თანამდებობის პირების უმართებულო სამსახურებრივი მოქმედებანი, რომლებმაც ზიანი მიაყენენ, ე. ი. მათ მიერ კანონის საწინააღმდეგო სამსახურებრივი მოქმედების შესრულება ხელისუფლების განხორციელების დროს. ამიტომ თანამდებობის პირი, იქონიებს რა განკარგულებას, მაგ., მოქალაქის ქონებაზე ყადაღის დადების, ქონების კონფისკაციის, თავისუფლების აღკვეთის შესახებ და სხვ., მოქმედობს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და ამიტომ დაზარალებულს ადმინისტრაციულ განკარგულებათა გამო აქვს უფლება გადაახდევინოს იგი დამნაშავე თანამდებობის პირს და არა სახელმწიფო დაწესებულებას; ასეთივე მდგომარეობაა, როცა, მაგ., მოსამართლეს ანგარებით ანსხვა მოსაზრებით გამოაქვს უმართებულო გადაწყვეტილება ან განაჩენი (სისხ. სამ. 120 მუხ.); ზარალი, მიყენებული ამის წყალობით, გადახდევინებულ უნდა იქნეს თვით მოსამართლესაგან. აქედან აშკარაა, რომ იმისათვის, რომ ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა 407 მუხლს შეუფარდოთ, ე. ი. იმისათვის, რომ სახელმწიფო დაწესებულება არ ჩაითვალოს პასუხისმგებელად მიყენებული ზარალისათვის, საჭიროა, რომ თანამდებობის პირის მიერ იყოს ჩადენილი უმართებულო ან უკანონო სამსახურებრივი მოქმედება, რომელმაც ზარალი გამოიწვია. მილიციის აგენტი, რომელსაც აქვს დაპატიმრების უფლება, უკანონოთ აღკვეთს ვისიმე თავისუფლებას. აქ უკანონო სამსახურებრივ მოქმედებას შეუძლია მიაყენ-

*) დსკუსიის წესით.

ნოს მოქალაქეს ზიანი, მაგრამ დაწესებულება ამ ზარალისათვის პასუხს არ აგებს ვინაიდან არ არსებობს ამის შესახებ განსაკუთრებული კანონი, როგორც ამას სამ. სამ. კოდ. 407 მუხლი მოითხოვს, იმისათვის, რომ სახელმწიფო დაწესებულებას ზარალი დაეკისროს.

სულ სხვა მდგომარეობაა იმ შემთხვევაში, როცა თანამდებობის პირის მიერ ჩადენილია ისეთ ქონების (ფულის) გაფლანგვა, რომელიც გადახდევინებულ იქნა მის მიერ ვისმესაგან მესამე პირის სასარგებლოდ ან რომლის შეტანის უფლება ჰქონდათ მოქალაქეებს მათთვის ან დაწესებულებისათვის კანონის ძალით. ასეთი გაფლანგვისათვის აგებს პასუხს დაწესებულება, რადგან აქ არავითარი კავშირი არ არის ზიანის მიყენებისა და სამსახურებრივი მოქმედების შორის; აქ გაფლანგვა არ არის სამსახურებრივი მოქმედება. დაწესებულების პასუხისმგებლობის საფუძველი ისაა, რომ მოქალაქე, იხდის რა ფულს ან საზოგადოთ მისცემს რა თავის ქონებას დადგენილი წესით არა იმ თანამდებობის პირს, ანდობს ამ ქონებას არა პერსონალურად ამ პირს, როგორც ასეთს, არამედ დაწესებულების წარმომადგენელს და მაშასადამე არსებითად თვით დაწესებულებას, რადგან დაწესებულებას სხვაფრივ არც შეუძლია იმოქმედოს, თუ არა თავის წარმომადგენლის მეშვეობით. ამიტომ აშკარაა, რომ თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი გაფლანგვისათვის პასუხისმგებელია დაწესებულება, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია გადახდილი თანხა დამნაშავე თანამდებობის პირს გადახდევინოს.

ამრიგად რახან ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ დაწესებულება პასუხს აგებს გაფლანგვისათვის, ე. ი. თანამდებობის პირის დანაშაულისათვის, ექვი არ უნდა იყოს, რომ მან საზოგადოთ უნდა აგოს პასუხი იმ ქონების მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის, რომელიც დადგენილი წესით ჩაბარებულია დაწესებულებისათვის ან თანამდებობის პირისათვის იმ შემთხვევაშიც, როცა ეს ქონება ამა თუ იმ გზით დაკარგული იქნება თანამდებობის პირის ბრალის გარეშე, როცა, მაგ., იგი მოსპობილია, გატაცებულია, დაკარგულია და სხვ. ან გაცემულია არა სათანადო პირზე.

რ. ს. ფ. ს. რ. ში გაფლანგვისათვის დაწესებულების პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ თავდაპირველად გაცემული იყო განმარტება იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების 1926 წ. 26 აპრილის ცირკულარის სახით მესამე პირების წინაშე მილიციის დაწესებულებათა პასუხისმგებლობის შესახებ იმ ზარალისათვის, რომელიც ჩადენილია ამ დაწესებულებათა თანამდებობის პირის მიერ (იხ. E. C. Ю., 1927, № 18, ოფიციალური ნაწილი). შემდეგ ალბათ დაიბადა აზრი საკანონმდებლო გზით დაწესებულ ყოფილიყო დაწესებულებათა პასუხისმგებლობა თანამდებობის პირთა მოქმედებისათვის იმ შემთხვევაში, უკეთუ არ აღმოჩნდებოდა ქონება, რომელიც ჩაბარებული იყო დაზარალებულის მიერ ან დაზარალებულის სასარგებლოდ. ეს ჩამოყალიბდა სამოქ. სამ. კოდექსის 407ა მუხლში, თუკა არა ისე, როგორც საჭირო იყო. იმისათვის, რომ ამ საკითხში გაეკრკვიოთ, საჭიროა მოვიყვანოთ სავსებით ამ მუხლის შინაარსი. 407ა მუხლის რედაქცია შემდეგია:

„დაწესებულება პასუხს აგებს თანამდებობის პირთა სამსახურებრივი მოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია უკანასკნელების მიერ კომპეტენციის ფა-



რგლებში, და მათ მიერ სამსახურში დაწვებულ დაუდევრობისათვის, რომელიც ცნობილია სათანადო სასამართლო ან ადმინისტრატული ორგანოს მიერ უმართებულოდ, უკანონოდ ან დანაშაულათ იმ შემთხვევებში, როცა დაზარალებულმა ჩააბარა თავისი ქონება (კერძოთ ფულადი თანხა) დაწესებულებას ან თანამდებობის პირს კანონის მოთხოვნისა ან სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის, დადგენილების ან მათზე ან სახელმწიფო დაწესებულების შინაგან წესრიგზე დამყარებულ თანამდებობის პირის განკარგულების შესასრულებლად; დაწესებულება პასუხს აგებს იმავე საფუძველზე იმ შემთხვევაში, როცა ქონება (კერძოთ ფულადი თანხა) იყო ჩაბარებული დაზარალებულის სასარგებლოდ“.

როგორც ამ მუხლის რედაქციიდან სჩანს, მისი შინაარსი ისაა, რომ დაწესებულება პასუხს აგებს თანამდებობის პირთა უმართებულო მოქმედებისა და დაუდევრობისათვის იმ შემთხვევებში, როცა დაზარალებულმა ჩააბარა ქონება დაწესებულებას ან თანამდებობის პირს. მაგრამ რაში უნდა გამოიხატოს უმართებულო მოქმედება ან დაუდევრობა და რა კავშირი აქვთ მათ დაწესებულებისა ან თანამდებობის პირისათვის ქონების ჩაბარებასთან, მუხლის შინაარსიდან არა სჩანს. გამოურკვეველია აგრეთვე, რაში მდგომარეობს დაწესებულების ეს პასუხსმგებლობა. 407-ა მუხლის აზრის გასაგებად შეიძლებოდა მისი განხილვა 407 მუხლთან დაკავშირებით. მაგრამ ასეთი განხილვა არ გვანთავისუფლებს ორკოფობისაგან. მართლაც 407 მუხლი, არ აწესებს რა დადებით ნორმას, აცხადებს დაწესებულების პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც მიყენებულია სამსახურებრივი მოქმედებით მარტოოდენ, როგორც მასშია ნათქვამი, კანონში განსაკუთრებით აღნიშნულ შემთხვევებში. ყოველ შემთხვევაში ეს მუხლი აწესებს პასუხისმგებლობის შესაძლებლობას, ე. ი. მატერიალურ პასუხისმგებლობას, 408-ა მუხლი კი არ ლაპარაკობს ზიანისათვის პასუხისმგებლობაზე, აქიტიომ მას შეუძლია მოგვეცეს საბაზი იმ დასკვნისათვის, თითქოს დაწესებულებას შეუძლია პასუხი აგოს მოსამსახურეთა ისეთ უმართებულო მოქმედებისათვისაც, რომლებითაც არ არის მიყენებული მატერიალური ზიანი.

ამის გარდა 407-ა მუხლის უვარგისობა მდგომარეობს შემდეგ გაუგებარ სიტყვებში, რომ დაწესებულება პასუხს აგებს თანამდებობის პირთა სამსახურებრივ მოქმედებისათვის, რომლებიც ჩადენილია უკანასკნელების მიერ კომპეტენციის ფარგლებში. ასეთი რედაქციის გამო შეიძლება დაიბადოს აზრი დაწესებულებისაგან იმ გაფლანგვისათვის პასუხისმგებლობის მოხსნის შესახებ, რომელიც ჩადენილია თანამდებობის პირთა მიერ, რადგან გაფლანგვის ჩადენის დროს ისინი სრულებით არ ასრულებენ სამსახურებრივ მოქმედებებს კომპეტენციის ფარგლებში: გაფლანგვა, რა თქმა უნდა, არ შეეხება თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოქმედებებს, მაგრამ რაზან დაწესებულება არ აგებს პასუხს გაფლანგვისათვის, სრულებით გაუგებარია რა აქვს მხედველობაში 407-ა მუხლს, როცა იგი ლაპარაკობს, რომ დაწესებულება პასუხს აგებს თანამდებობის პირის უმართებულო, დანაშაული და სხვ. მოქმედებისათვის იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულმა ჩააბარა ქონება დაწესებულებას ან თანამდებობის პირს.

(გაგრძელება იქნება).

ძველ სამუშაო აღბილზე აღდგენის უპირატესი უფლების შესახებ *)

დამქირავებლის მიერ შრომის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევები ორ ჯგუფად იყოფიან: გაუქმება, როდესაც საფუძვლად უდევს თვით მშრომელის მიერ ხელშეკრულების ბრალეული დარღვევა და გაუქმება გამოწვეული მშრომელის ნების გარეშე მყოფ გარემოებებით.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: დაქირავებულის გამოუსადეგრობა, მის მიერ შრომითი ვალდებულებების სისტემატაური შეუსრულებლობა, პატიმრათ ყოფნა. 2 თვეზე მეტი ხნით, მუშაობასთან დაკავშირებით რაიმე სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობის ჩადენა, სამუშაოზე გამოუცხადებლობა 3 დღეზე მეტი ხნით.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: 1) საწარმოს სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია ან და სამუშაოთა შემცირება; 2) საწარმოო ხასიათის მიზეზებით გამოწვეული მუშაობის შეჩერება, თუ ეს შეჩერება, ხანგრძლივობით ერთ თვეს აღემატება; 3) შრომის უნარიანობის დაკარგვა.

თავისთავად ცხადია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც გვაქვს მშრომელის მიერ ხელშეკრულების ბრალეული დარღვევა, ან ისეთი შემთხვევა როდესაც შრომის უნარიანობა დიდი ხნით არის დაკარგული, ხელშეკრულების გაუქმება სამუდამოთ სწევებს ურთიერთობას დამქირავებელსა და მშრომელს შორის. ეს უკანასკნელი მიდის შრომის ბირჟაში და უმუშევრობის ლიკვიდაციის საერთო წესით შეუძლიან მიიღოს ახალი ადგილი სხვა საწარმოში ან დ წესებულებაში.

ამ შემთხვევებს ხელშეკრულების ყოველ პირობის გარეშე გაუქმებისა კანონი მიაკუთვნებს კიდევ საწარმოს სრულ ან ნაწილობრივ ლიკვიდაციას, შტატების შემცირებას და მუშაობის შეჩერებას საწარმოო ხასიათის მიზეზებით ერთ თვეზე მეტი ხნით, და სთვლის, რომ აღნიშნულ შემთხვევებში ხელშეკრულების გაუქმება სამუდამოთ სწევებს ურთიერთობას დამქირავებელსა და მშრომელს შორის.

შრომის კანონთა კოდექსის მე-47 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტის მიხედვით დათხოვნილი მშრომელი შედის უმუშევართა საერთო კადრში. საკითხის ასეთი გადაწყვეტა იწვევს მშრომელისათვის შემდეგ არასასურველ შედეგებს: თუ დამქირავებელი შტატების შემცირების შემდეგ საჭიროთ დაინახავს ისევ გაათავართოს იგი, ან თუ დამქირავებელი საწარმოო ხასიათის მიზეზებით შეჩერებულ მუშაობას ერთ თვის შემდეგ ისევ განახლებს,—მაშინ საწარმოდან დათხოვნილ და შრომის ბირჟაში რეგისტრაციაქმნილ მშრომელს, აღარ ექნება უფლება მოითხოვოს ძველ ადგილზე აღდგენა, რომელზედაც მოწვეული იქნება მორიგი უმუშევარი, რომელმაც მაზე უწინ გაატარა რეგისტრაციაში თავისი უმუშევრობა. ეს დებულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს მუდმივ სამუშაოზე მყოფ მშრომელის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

*) დისკუსიის წესით.

გარდა ამისა ეს ჰქმნის დამქირავებლისათვის ფაქტიურ შესაძლებლობას ისეთი მშრომელის დათხოვნისა, რომელიც კარგათ ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ რაიმე მიზეზით არ არის მისთვის სასურველი.

პრაქტიკამ იცის ბევრი ისეთი შემთხვევა, როდესაც დამქირავებელი შრომის კან. კოდ. მე-47 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტების დახმარებით ითხოვდა სამუშაოდან მუშებსა და მოსამსახურეებს ვითომდა „შტატების შემცირების“ ან ერთ თვეზე მეტა ხნით მუშაობის „შეჩერების“ მიზეზით.

ეს ხდებოდა იმ მიზნით, რომ უკანონო დაეთხოვნა ესა თუ ის, მასთან მრავალი წლების განმავლობაში მოსამსახურე მშრომელი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო არასასურველი გახდა დამქირავებლისათვის: ან იმიტომ რომ ეს შეგნებული მუშაა, რომელიც იცავს თავის პროფესიონალურ უფლებებს და ინტერესებს, ან კიდევ იმიტომ, რომ საჭიროა ვინმეს მოწყობა სამსახურში, რაც უადგილობისა გამო შეუძლებელია უიმისოდ, რომ შემცირების წესით მორიგი მსხვერპლი არ იქნეს დათხოვნილი სამსახურიდან.

ასეთ მოჩვენებით შტატების შემცირებას და წარმოების შეჩერებას ებრძვიან პროფესიონალური ორგანიზაციები სარჩელის წარდგენით დათხოვნილ მშრომელების სამსახურში აღდგენის შესახებ, ამასთან ამტკიცებენ შტატების შემცირების და სამუშაოთა შეჩერების ფიქტივობას.

გარდა ამისა პროფესიონალური ორგანიზაციები ძალიან ხშირათ მიმართავენ პრევენტიულ ზომებს, რომელიც დამქირავებელს მშრომელის უკანონო დათხოვნის შესაძლებლობას უსპობს. ამ მიზნით კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეაქვთ სპეციალური პუნქტი სამუშაოზე იმ მშრომელთა უპირატესი მიღების შესახებ რომელნიც ამ საწარმოდან იყენენ დათხოვნილი შტატების შემცირებისა ან მუშაობის შეჩერების გამო.

ძალიან ხშირათ შემფ. საკონ. კომისიებიც აწესებენ მშრომელისათვის უპირატეს უფლებას ახლად იქნენ მიღებული სამუშაოთ იმ დაწესებულებაში, საიდანაც ისინი დათხოვნილი იყვნენ შტატების შემცირების გამო. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა მშრომელი გაასაჩივრებს შემფ. საკონ. კომისიაში, თავის დათხოვნას შტატების შემცირებისა ან მუშაობის შეჩერების გამო.

ხშირათ არ არსებობს მტკიცე საბუთი იმისა რომ მშრომელი სამუშაოდან უკანონოთ იქნა დათხოვნილი, ამიტომ შემფ. საკონფ. კომისიას არ აქვს არავითარი შესაძლებლობა მოითხოვოს მშრომელის სამუშაოზე აღდგენა, ამ შემთხვევაში ის ცდილობს გამოიტანოს ისეთი დადგენილება, რომლის ძალით მშრომელს ენიჭება უპირატესი უფლება სამუშაოზე დაბრუნებისა იმ დამქირავებელთან, რომლიდანაც ის იყო დათხოვნილი შტატების შემცირების ან მუშაობის შეჩერების მიზეზით. ეს იმ შემთხვევაში თუ დამქირავებელს აღმოაჩნდა რაიმე ახალი ადგილი, ან თუ შტატების გაფართოება ხდება.

მაგრამ ყველა ეს შემთხვევითი ხასიათის ზომები არიან, და არ სწყვეტენ ძირეულათ საკითხს იმის შესახებ თუ როგორ მიეცეს მშრომელს გარანტია იმისა, რომ იგი დაბრუნებული იქნება სამსახურში იმ დაწესებულებასა ან საწარმოში, რომლიდანაც ის იყო დათხოვნილი თუნდაც **შტატებია ნამდვილათ შემცირების ან მუშაობის ნამდვილათ შეჩერების გამო**, თუ ამ დაწესებულებამ ან საწარმომ

ასეთ დათხოვნის შემდეგ საქიროდ სცნო ისევ გაადიდოს შტატები ან ხელახლა დაიწყოს შეჩერებული მუშაობა, ან კიდევ თუ ასეთ დამქირავებელს შტატში ახალი ადგილი აღმოაჩნდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შრომის კან. კოდ. მე-47 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებით დათხოვნილ მშრომელის სამუშაოზე უკან დაბრუნებას პრინციპიალური თვალსაზრისით სათანადო საფუძველი აქვს.

საქმე იმაშია რომ ხანგრძლიობისა და ვადის მიხედვით მშრომელთა მუშაობა შემდეგ კატეგორიებით იყოფა; 1) მუდმივი სამუშაო, 2) სეზონური, და 3) დროებითი. ჩვენი შრომის კანონმდებლობა მეტათ რელიეფურ ფორმებში ატარებს ამ განსაზღვრას.

ასე მაგალითად, სეზონურ და დროებით მუშებისათვის დაწესებულია სპეციალური წესები, რომლითაც მოწესრიგდება შრომითი ურთიერთობა დამქირავებელსა და მშრომელს შორის იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაობა მუდმივ ხასიათს არ ატარებს და მეტათ მოკლე ვადით არის მოფარგლული. დროებით სამუშაოსთვის ეს ვადა არ შეიძლება 4 თვეს აღემატებოდეს, სეზონურ სამუშაოსთვის კი—იმ პერიოდს, რომლის განმავლობაში, საწარმოო პირობებისა გამო, იწყება და სრულდება ამ სეზონისათვის ვათვალისწინებული მუშაობა.

დროებით და სეზონურ მუშაობის ვადის დადგომასთან ერთად თავისთავად სწყდება ურთიერთობა დამქირავებელსა და მშრომელს შორის, ისე რომ ამას არავითარი შედეგი დამქირავებლისათვის არ მოსდევს. მშრომელი შედის უმუშევართა კადრში, გაივლის რეგისტრაციას შრომის ბირჟაში, სწყვეტს ყოველგვარ კავშირს იმ დაწესებულებასა თუ საწარმოსთან სადაც ის მუშაობდა და მოეწყობა სადმე ახალ სამუშაოზე უმუშევრობის ლიკვიდაციის საერთო წესით. გარდა იმისა, რომ ურთიერთობა დამქირავებელსა და მშრომელს შორის სამუდამოთ ისპობა დროებით ან სეზონურ სამუშაოს ვადის გასვლისას, კანონი აძლევს დამქირავებელს უფლებას დროებით სამუშაოს ვადის გასვლამდინაც თავისი შეხედულებით სამუდამოთ შესწყვიტოს შრომის ხელშეკრულების მოქმედება. თანახმათ ცაკისა და სახ. კომ. საბჭოს 1927 წ. 14 იანვრის დადგენილების მე-9 მუხლისა დროებით მუშების შესახებ დამქირავებელს აქვს უფლება მუშების განუსაზღვრელი ვადით დაქირავების შემთხვევაში მოშალოს ხელშეკრულება „რადროსაც უნდა, მიზეზების აღუნიშვნელათ“.

ასეთივე დროებითი ხასიათი აქვს მუშაობას უმუშევართა კოლექტივში, სადაც კანონმა განზრახ დააწესა ცვალებადობა ყოველ 6 თვის განმავლობაში, იმ მიზნით, რომ ამ კოლექტივებში რეგისტრაციამნილ უმუშევართა რაც შეიძლება დიდი რიცხვი გატარდეს.

სულ სხვა ხასიათს ატარებს მუდმივი სამუშაო ან სამსახური. აქ მშრომელი წლობით არის დაკავშირებული ამა თუ იმ დაწესებულებასა ან საწარმოსთან, ამის გამო ის იძენს განსაკუთრებულ სპეციალიზაციას ერთი და იგივე სამუშაოს შესრულების. ეს ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და მუშაობის სიჩქარეს და იმდენათ აკავშირებს მშრომელს ამ დაწესებულებასა ან საწარმოსთან, აგრეთვე მის პროფესიასთან, რომ ადგილის დაკარგვა შტატების შემცირებისა ან რაიმე სხვა მიზეზის გამო დიდი ხნით აშორებს მშრომელს თავის წრეს და აქცევს მას



თითქოს პერმანენტურ უმუშევრო, რადგან ის ეძებს ანალოგურ სამუშაოს იმ სამუშაოსთან, რომელსაც ის წინეთ ასრულებდა.

ყველა აღნიშნულის გარდა მშრომელი მეტათ დაინტერესებულია მუდმივ სამუშაოსა და სამახსოვროში კიდევ იმიტომ, რომ ჭეშაობის ხანგრძლივობა აძლევს მას დიდ უპირატესობას უმუშევრობიდან და ინვალიდობიდან დაზღვევას საკითხებში.

ყველაფერი ეს საკმაო მოტივია იმისათვის, რომ კანონი უწინარეს ყოვლისა აწესებდეს გარკვეულ გარანტიებს, მშრომელის დასაცავად ადმინისტრაციის თვითნებურ დათხოვნისაგან.

(გაგრძელება იქნება).

6. ჯანმრავალი.

მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის საკითხები.

I

მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის საკითხი ერთი უმწვავესი საკითხთაგანია საბჭოთა საზოგადოებრივობის სინამდვილეში.

ჩვენი შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც უდიდესი მიღწევაა ოქტომბრის რევოლუციის, შეიცავს მშრომელთა უფლებების გარანტიებს მასში მოცემულია მუშათა კლასის ინტერესების დაცვის მთლიანი სისტემა,

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში კი მუშათა კლასი დაქირავებულთა ხელისუფლების განკარგულებაშია. სახელმწიფოა ყველა ორგანო, მათ შორის სასამართლოც, ასრულებს და ატარებს იმ პრინციპებს, რაც მონოპოლისტური კაპიტალიზმის დაცვაში მდგომარეობს*). აქედან ცხადია, თუ რა უფულებო მდგომარეობა აქვს მუშათა კლასს ისეთ მწვავე დარგში, როგორცაა სამუშაოდან დათხოვნა.

საბჭოთა შრომის კოდექსი ერთიანია-რა საკანონმდებლო სისტემით, ატარებს გარკვეულ ჩამოყალიბებულ შინაარსს. უკანასკნელი მუშათა კლასის ერთობლივი ინტერესების საფუძველზეა აგებული. საბჭოთა კავშირში შრომისა და მეურნეობის პრობლემები მატარებელია, იმ სოციალურ ურთიერთობის, რომლის ბუნებაა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება.

ჩვენი შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების გაუქმება (მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა) შეუძლებელია იმ შემთხვევათა გარდა, რომელიც სპეციალურად არის გათვალისწინებული კანონში. ბუნებრივი ან პრინციპული ხაზის გამრუდება იწვევს შრომის კონფლიქტს

აღნიშნულ პირობებიდან გასაკვება მშრომელთა მოთხოვნა ბოლომდე იმის შესახებ, რომ დათხოვნას ადგილი არ ჰქონდეს. უმეტეს შემთხვევაში მუშა-მოსამსახურე არ კმაყოფილდება ამა თუ იმ რესპუბლიკანური ორგანოებით და

*) Революция права № 5 28 г. гл. 107—108.

კავშირის ორგანოებში ასაზივრებენ თავიანთ დათხოვნას ისინი მიმართავენ ამხ. კლანინს, რიკოვს, ორჯონიკიძეს და სხვებს მიუხედავად იმისა, რომ მუშაკის დათხოვნა კანონიერ ფარგლებშია მოხდენილი.

11

შრომითი ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევები შეიძლება რამოდენიმე წყებათ იქნას დაყოფილი.

1) დადებული ხელშეკრულების გაუქმება დამქირავებლის ბრალდებული მოქმედებით: დაქირავებულთათვის შეპირებული სასყიდლის თავისდროზე გადაუხდელობის გამო; თუ დამქირავებელმა დაარღვია ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობანი ან შრომის კანონები; თუ დამქირავებელი ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან მათი ოჯახის წევრები დაქირავებულს უხეშად ეპყრობიან; თუ გაუარესდა მუშაკებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები; გასამრჯელოს რაოდენობის სავალდებულო მინიმუმით მიცემის შემთხვევებში მუშაკთა შესაფერი კვალიფიკაციის კატეგორიებისათვის (შრ. კან. კოდ. 48 და 59 მუხ. მუხ.).

აღნიშნულ დარღვევათა გამო დაქირავებულს უფლება აქვს შრომითი ხელშეკრულება დაარღვიოს დამქირავებელთან და მას არავითარი ვალდებულება არ დაეკისრება.

2) შრომითი ხელშეკრულების გაუქმება ხდება აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა ბრალეულობის გამო; თუ მშრომელი არ შეასრულებს შრომის დისციპლინიდან გამომდინარე ვალდებულებას, ჩაიდენს სისხლის სამართლით დასასჯელ მოქმედებას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მის სამუშაოსთან; თუ დაქირავებული, პატივსადებ მიზეზთა გარეშე სამი დღის ან მეტი ხნის განმავლობაში ერთ თვეში არ გამოცხადდება სამუშაოზე; თუ აღმოჩნდა დაქირავებულის უვარგისობა სამუშაოსათვის; თუ დარღვეული იქნა საერთო და სპეციალური მოვალეობანი და წესრიგი მუშაობასთან დაკავშირებით, ე. ი. როდესაც დაქირავებული სისტემატიურად არ ასრულებს იმ მოვალეობას რომელიც დაკისრებული აქვს ხელშეკრულებით ან შინაგან განაწესით; თუ დაქირავებული არ შეასრულებს გამომუშავებით ნორმებს მუშაობის ნორმალურ პირობებში; თუ მუშა-მოსამსახურე წინააღმდეგია გადაყვანისა იმ შემთხვევაში როცა ეს გადაყვანა ხდება სამუშაოს შემცირების გამო (შრ. კან. კოდ. 47, 36, 37 და 57 მუხ.)

3) განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების და აგრეთვე ვადიანი ხელშეკრულების გაუქმება ხდება ობიექტურ მიზეზების გამო: წარმოებისა დაწესებულების ან მეურნეობის სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის, აგრეთვე მათში მუშაობის შემცირების შემთხვევებში; აპარატის რაციონალიზაციის, ე. ი. მუშაობის მეთოდისა და ტექნიკის გაუმჯობესების გამო; წარმოებითი ხასიათის მიზეზით გამოწვეულ ერთ თვეზე მეტი ხნით მუშაობის შეჩერების გამო; მშრომელის მიერ შრომის უნარის დროებითი დაკარგვის გამო სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის დღიდან უნარის დაკარგვისა ორი თვის ვადის გასვლის შემდეგ; შრომის ხელშეკრულების მოსპობა დაწესებულების ან წარმოების ერთი უწყებიდან ან მფლობელიდან მეორე უწყებაში ან მფლობელთან გადასვლისას

პროფესიონალური კავშირების მოთხოვნით შრომის ხელშეკრულების დარღვევა.

შრომის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ შრომითი ხელშეკრულების გაუქმებას და აქედან გამომდინარე მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნას ადგილი ჰქონდეს მხოლოდ კანონში გათვალისწინებულ სპეციალური მოთხოვნების შემთხვევაში. აუცილებლად სმჭიროა, რომ ის, რაც ითვლება კანონიერ საბაბად (მშრომელის სათანადო მოქმედება) ხელშეკრულების მოშლისათვის, დადასტურებულ იქნას; წინააღმდეგ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულება გაუქმებულად არ ჩაითვლება და დამქირავებელი ვალდებულია აუნაზღაუროს მუშა-მოსამსახურეთ ზარალი, მიყენებული მისი (დამქირავებლის) უკანონო მოქმედებით.

III

დაქირავებული შრომის გამოყენების ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტი ირჩევა ორი წესით: სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო ორგანოების ხაზით. 28 წლის 29 ივლისის კანონმა შრომის კონფლიქტების განხილვის შესახებ დააწესა გამონაკლისი ამ საერთო დებულებიდან და შემფასებლო საკონფლიქტო კომისიაში, როგორც პირველად ინსტანციაში სავალდებულოა შემდეგი კონფლიქტების განხილვა:

ა) გადაყვანა სხვა სამუშაოზე და გადაყვანასთან დაკავშირებული შრომის ხელფასის შენახვა ან გამოსასვლელი დახმარების გაცემა;

ბ) გასამრჯელოს გადახდა ნორმაზე ნაკლები გამომუშავების დროს;

გ) დათხოვნა უფარვისობისა და მოვალეობის შეუსრულებლობის გამო;

დ) კომპენსაცია იმ იარაღის გამოყენებისათვის, რომელიც მუშაკს ეკუთვნის;

ე) გაცემა სპეც-ტანისამოსისა და სპეცკვებისა და სათანადო შემთხვევებში მათ ნაცვლად ფულადი კომპენსაციისა, შემოღება შემოკლებული სამუშაო დღისა და ვადიდებული შვებულებისა;

ვ) სხვა და სხვა კვალიფიკაციის შრომის შესრულების დროს მაგივრობის გაწევის გამო გასამრჯელოს გაცემა;

ზ) ნაცდურის გადახდა;

თ) ნარდი სამუშაოს მომხადებისათვის გასამრჯელოს გადახდა.

ი) დაუმთავრებელ ნარდ სამუშაოსათვის გასამრჯელოს გადახდა;

კ) გამოქვითვა მასალის, ხელსაწყო და ნაკეთობის გაფუჭებისათვის და დაწუნებულის ღირებულების გადახდა.

ლ) გასამრჯელოს გაცემა სამუშაოდან გადაყენების დროისათვის;

მ) ფულადი კომპენსაციის გაცემა გამოუყენებელ შვებულებისათვის;

ნ) გასამრჯელოს რაოდენობა გამოცდის დროისათვის;

ო) მუშაკისათვის კუთვნილი პრემიალური ჯილდოს გაცემა;

პ) გადახდა ზედმეტ მუშაობისათვის;

ჟ) დამქირავებლის მიზეზით მუშაკის მიერ შრომის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში გამოსასვლელი დახმარების გადახდა.



შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის, როგორც ძირითად ინსტანციას ვალდებულოთ განსახილავ კონფლიქტების გარდა შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი კონფლიქტებიც, რომლის გადაჭრა მოითხოვს კონფლიქტის უახლოეს გარემოებებშია და პირობების, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულებებისა ან ორგანიზაციის მუშაობის თავისებურების აღრიცხვას. (შრ. კონფლ. წესების 12 და 13 მუხ. მუხ.). ყველა დანარჩენ კონფლიქტის გამო მუშაკს შეუძლია არჩევით მმართველ საომომრიგებლო ან სასამართლო ორგანოს, მაგალითად: მუშაკის დათხოვნის შესახებ სამუშაოზე გამოუცხადებლობისათვის სამი დღის განმავლობაში ან მეტი ერთ თვეში, პატივსაღებ მიზეზთა გარეშე; მოზარდ მუშებზე სამუშაო დღისათვის ხელუპყრის გაცემა სრულ სამუშაო დღისათვის; სამიველინებო ხარჯების გაცემა და სხვ.

ახალმა კანონმა დაუშვა აგრეთვე გამონაკლისი იმ მუშაკთა კატეგორიისათვის, რომლებიც სარგებლობენ დაქირავების და დათხოვნის უფლებებით. ხსენებულ მუშაკების სამსახურებრივ უფლებებში აღდგენის საკითხი განიხილება ადმინისტრაციული წესით, ე. ი. მარტოდენ ზემდგომი ორგანოებისა და პირების მიერ.

მუშაკთა უმართებულოდ დათხოვნის შემთხვევებში შემფასებელ საკონფლიქტო კომისიას, ან შრომის სასამართლოებს, გამოაქვს დადგენილებანი: უკანონოდ დათხოვნილი პირის თანამდებობაზე ან სამუშაოზე აღდგენისა და ხელფასით დაკმაყოფილების შესახებ დათხოვნის მომენტიდან ახალ სამუშაოზე მიღებამდე ან თანამდებობაზე ფაქტიურად აღდგენაზე, ერთი თვის ვადით ყველა ხოლო დანარჩენ შემთხვევებში, უკეთეს უმართებულოდ დათხოვნილი მუშაკი დათხოვნის დღიდან ერთი თვის განმავლობაში გატარებულია შრომის ბირჟის რეგისტრაციაში და მას (მუშაკს) არ უთქვამს უარი საპატიო მიზეზის გარეშე მიწოდებულ სამუშაოსათვის.

კანონი შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო განხილვის შესახებ შემდეგ დადგენილებას იძლევა.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელი არ შეასრულებს სამომრიგებლო სამედიატორო ან სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებას უმართებულოდ დათხოვნილ მუშაკის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, აღნიშნულ მუშაკს აქვს უფლება გასამრჯელოს მიღებისა თანამდებობაზე ან სამუშაოზე ფაქტიურად აღდგენის მომენტამდე.

აღნიშნული გასამრჯელო გადახდება დამქირავებულს საქმის ხელმეორედ განუხილველად, იძულებითი წესისამებრ, აღმასრულებელი ფურცლით, რომელსაც გასცემს სასამართლო ან შრომის ორგანო კუთვნილებისამებრ.

მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნის შემთხვევებში სახელმწიფო კოორპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოს და დაწესებულებათა თანამდებობის პირებს ეკისრებათ ქონებრივი პასუხისმგებლობა აუნაზღაურონ საწარმოს ან დაწესებულებებს ის ზარალი, რაც ამ უკანასკნელთაგან მიყენებული აქვთ უმართებულოდ დათხოვნილი მუშაკისათვის ჯილდოს გადახდის გამო. აგრეთვე ის დამქირავებლები, რომლებიც მუშაკებს დაითხოვენ უკანონოდ, პასუხს აგებენ



სისხლის სამართლის წესით. როგორც ვხედავთ მშრომელთა უფლებები და რანტიები საბჭოთა შრომის კოდექსით უაღრესათ დაცულია. ჩვენი ამოცანაა სწორად შეუფარდოთ შრომის კანონებს ნორმები მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის საკითხებს.

ს. ჭავჭავაძე.

იურისკონსულტთა ბიუროს მნიშვნელობა და მისი ამოცანები.

დაწესებულებათა და საწარმოთა იურისკონსულტების პრაქტიკულ მუშაობის გაერთიანების და საჭირობოროტო იურიდიული ხასიათის საკითხების განმარტივების და მათი უფლებრივად მოწესრიგების მიზნით. თანახმად საქართველოს სახკომსაბჭოს 1927 წ. 22 აგვისტოს № 119 დადგენილებისა, პროკურატურის მიერ მოწვეულ იქნა 1-ლი თათბირი სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერატიული ორგანიზაციებისა. თათბირმა თავის მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობის და სათანადო ზედამხედველობის გასაწევად ამოიჩინა ბიურო: აქამდე ცალკე სახელმწიფო და საწარმოთა დაწესებულებებში არსებობდნენ იურისკონსულტთა ბიუროები, ან უფრო სწორად, რომ ვსთქვათ სექციები, რომელთა საქმიანობა განისაზღვრებოდა თავიანთ დაწესებულებების ან საწარმოს ფარგლებში, და იხილავდა მხოლოდ მათ მუშაობის პრაქტიკაში წამოჭრილ საკითხებს; ამიტომ იურისკონსულტებთა შორის არ იყო ერთიანი პრაქტიკა ამა თუ იმ პრინციპიალური და სადაო იურიდიული ხასიათის საკითხებზე დასკვნის მიცემის გარშემო; არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა ამის ჩვენი პრაქტიკიდან; ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლოს ან და საპროკურატურო ორგანოებს გამოაქვთ ერთი დასკვნა რომელიმე საქმეზე, ხოლო იურისკონსულტები კი დაწესებულებას ან წარმოებას აძლევენ იმავე საქმეზე დიამეტრალურად საწინააღმდეგოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელობა მიუხედავად იმისა, რომ მათ აპარატში ჰყავთ იურისკონსულტები, რომლებიც ვალდებული არიან ყოველგვარი იურიდიულ ხასიათის საკითხებზე მისცენ სათანადო დასკვნა, რომლის შედეგის სრული პასუხისმგებლობა მათ აწევთ, ამით არ სარგებლობენ და მათი დასკვნის გარეშე სწყვეტენ ზოგიერთ საკითხს, რასაც შედეგათ მოყვება მთელი რიგი გაუგებრობანი, აგრეთვე არა წესიერი დასკვნისათვის არ აკისრებენ დამნაშავე პირებს ზარალის ანაზღაურებას და სათანადო პასუხისმგებლობას; ყველა ამის გამო, როგორც ზემოთ არის ეს აღნიშნული ჩამოყალიბებული იქნა ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და კოოპერატიული ორგანიზაციათა თათბირი და მათი მუშაობის ხელმძღვანელი ორგანო-ბიურო, რომლების მთავარ ამოცანას შეადგენს: განხილვა და დამუშავება იმ პროექტისა და დადგენილებებისა, რომლებსაც სცემენ ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები სამოქალაქო სამართლის დარგში, განხილვა და დასკვნის მიცემა ყველა იმ პრინ-

ციპიალური და სადა იურიდიული ხასიათის საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრებინან სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმო და კოოპერატიული ორგანიზაციათა ყოველდღიურ მუშაობაში და განხილვა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტებისა და განკარგულებებისა მათი სისწორით და ერთნაირად შეფარების მიზნით. ამრიგად იურისკონსულტთა თათბირის და მისი ხელმძღვანელ ორგანო-ბიუროს წინაშე წამოჭრილი საკითხები, მოითხოვენ მათ გადაჭრას ცოდნის და პრაქტიკის თვალსაზრისით, რა მოვალეობაც არის მეტად სერიოზული, თუ ამ დავალების ასრულება შესძლო ჩვენმა თათბირმა და ბიურომ ის მეტად დიდ ნაყოფს მოუტანს როგორც დაწესებულებებს და საწარმოს, აგრეთვე მთელი რიგი მნიშვნელოვან საკითხების უფლებრივ მოწესრიგების საქმეს. საქართველოში მოხსენებული ბიუროს თათბირის მუშაობა არის ახალი საქმე, მას არ მოეპოვება როგორც თავისი, აგრეთვე სხვა საბჭ. რესპუბლიკების მუშაობის პრაქტიკა და პირველ ხანებში მას მოუწევს მეტად ძნელ პირობებში მუშაობა, მაგრამ თუ კი ყველა დაწესებულება, საწარმოთა და კოოპერატიული ორგანიზაციების იურისკონსულტები თავიდანვე აქტიურად ჩაებმინ თათბირის და ბიუროს მუშაობაში და თავიანთი ცოდნას და პრაქტიკას საერთო საქმეს მოახმარებენ, მაშინ ჩვენ შევძლებთ ამ დიდ ამოცანების შესრულებას. აგრეთვე დასახული მიზნების განხორციელებისათვის, პრინციპიალური და სადაო საკითხების სისწორით გადაჭრის და კანონების სისწორით და ერთნაირად შეფარდების მიზნით, თათბირის მუშაობა უნდა იქნეს დაყოფილი სექციებათ. უკანააქველნი უფრო დაკვირვებით და ყოველმხრივ შეისწავლიან როგორც პრაქტიკულად, აგრეთვე თეორეტიკულად მათი ხაზით წამოჭრილ საკითხებს. ასეთი სექციები საქიროა დაარსებული იქნეს ჯერ-ჯერობით ქ. თბილისში, სახელმწიფო ადგილობრივი წარმოების, საგზაო და სატრანსპორტო, სახელმწიფო ბანკის და საკრედიტო ამხანაგობის და კოოპერატივთა ორგანიზაციის. გარდა ამისა თვით სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, რომლების წარმომადგენლნი იურისკონსულტების სახით შედიან ზემო-აღნიშნულ თათბირში, უნდა გაუწიონ სათანადო ანგარიში საერთო საქმეს და დაეხმარონ მას.

ი. კალანდაძე.

დამცველთა კოლეგიის შესახებ *).

ექვს გარეშეა, რომ დამცველთა კოლეგია ტრადიციულად განაგრძობს იმ გზას, რომლითაც ის მიდიოდა ჯერ კიდევ რევოლიუციამდე,—თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო ოროლა ლექციებს პარტიულ ორგანოთა დავალებით და სახაზინო დამცველობას,—რომელშიდაც ნაკლებად სჩანს საზოგადოებრივობა. დამცველთა კოლეგია კლიენტთან ინდივიდუალური შეთანხმებით განაგრძობს მცხოვრებთა იურიდიულ დახმარებას და, როგორც ასეთი გზით მიმავალი, ის ჩამორჩა საერთო ხაზს.

*) დისკუსიის წესით.

თუ ინტელიგენციის, ერთმა ჯგუფმა იდეოლოგიურად შეისისხლხორცა საბჭოთა პრინციპები, ეგ. წ. „კვალიფიციური ვექილების“ უმრავლესობა პირველად მას განზე გაუდგნენ და გაიძახოდნენ: „ჩვენ არავინ არაფრად გვცნობს, არაფრად გვთვლის, არარად გვრაცხვენ“, ნაწილი დამცველთა კოლეგიის წევრთა მიხედვრილია, რომ თუ აქამდე განზე იდგნენ, აწ მაინც შეუერთდეს საერთო ფერხულს და გვერდში ამოუდგეს მშრომელთა მასას კოლექტიური გზით, მაგრამ არის მეორე ჯგუფი, რომელსაც სურს საზოგადოებრივობა მაგრამ ამავე დროს უარყოფს კოლექტიურ პრინციპს, რაც არსებითად ნიშნავს ძველი გზით სვლას. რაიც ნათელჰყო კოლექტივიზაციის პროექტის გამოქვეყნებამ. ერთის მხრივ ჩვენმა გამარტივებულმა სამართლის წარმოებამ, ცხოვრების სოციალურ ეკონომიურმა პირობებმა და მეორის მხრივ, რომ დამცველთა კოლეგიის წევრებს მისცემოდა ნამდვილი სახე საბჭოთა ადვოკატურისა, რომ ისინი ჩაბმული ყოფილიყვნენ — მშრომელთა მასის საერთო ფერხულში, წარმოშვეს საკითხი დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაცია-რეფორმისა. რამოდენიმე თვეების წინად გამოქვეყნდა პროექტი კოლექტივიზაციისა, პრინციპი, წარმოშობილი და გამოძინარე პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკიდან. როგორ შეხვდნენ დამცველთა კოლეგიის წევრები კოლექტივიზაციის პროექტს? რა თქმა უნდა 1-ლი ნაწილი მას შეხვდა დადებითად, მხოლოდ ნაწილი კი არამთუ თავს იცავდა ასეთისაგან, პირიქით შეტევაზეც გადავადნენ. საკმარისია გადავხედოთ გ. გიორგაძის წერილს (იხ. საბჭოთა სამართალი № 19) რომელშიდაც ის „ლენინიზმით“ და „მარქსიზმით“ შეიარაღებული ილაშქრებს კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორაა განწყობილი დამცველთა კოლეგიის ერთი ნაწილი. მოქ. გ. გიორგაძეს სურს გაამართლოს კოლექტივის საწინააღმდეგო პრინციპები „ნებ“-ით.

მოქ. გიორგაძე არ არის განმარტოებული ამ საკითხში, მას თან ჰყავს მიმდევრები, რომლებიც ავსებენ მის აზრს. როგორც მაგ. მოქ. მკურნალი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოქ. გიორგაძემ „ღრმა ანალიზი“ გაუკეთა კოლექტივიზაციის საკითხს და ის „დაუკავშირა“ „ნებ“-ის პოლიტიკას, მხოლოდ მკურნალმა დასძინა მოქ. გიორგაძის „ღრმა ანალიზს“ სიტყვა „ქვაბიზმი“ რომლითაც მან მონათლა მომავალი კოლექტივი დამცველთა და რომლის შინაარსი თვით მკურნალისათვისაც გაუგებარია. მკურნალის აზრით კოლექტივიზაცია ნიშნავს ერთს ქვაბში ყველასი თავის მოყრას და დოვლათის ერთად განაწილებას. ადვილი წარმოსადგენია თუ რა აბლაბუდაა მკურნალის აზრი და მისი „ქვაბიზმი“ თუ როგორი დამახინჯებაა კოლექტივიზაციის იმ პრინციპისა, რომელსაც ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ატარებს საერთოდ. მას უნდა ამ ახალ სახელწოდებით, და დამახინჯებით თვალი აუხვიოს ნამდვილს საზოგადოებრივობის მოსურნე დამცველებს. ჩვენ ვამბობთ, რომ მცხოვრებთა იურიდიული დახმარების მიწოდებისათვის და დამცველთა კოლეგიის რაციონალურად მოწყობისათვის, საჭიროა მისი კოლექტივიზაცია, რომელიც ძირიან ფესვანად შესცვლის, როგორც მის სტრუქტურას, ისე მუშაობის სისტემას და შეიტანს ახალ წესს მშრომელთათვის იურიდიული დახმარების საქმეში.



საბჭოთა კავშირის შრომა-გასწორების პოლიტიკის პრინციპები და მეთოდები.*)

III. სწავლა-აღმზრდელობითი მუშაობა

საბჭოთა-შრომა-გასწორების კანონმდებლობით, დამნაშავეთა საპატიმრო ადგილებში მოთავსების ძირითადი ამოცანაა — შეუფუოს ისინი თავისუფალ შრომითი ცხოვრების პირობებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის საშიში პიროვნება უნდა გარდაიქმნას და გახდეს საბჭოთა რესპუბლიკისათვის სასარგებლო მოქალაქეთ.

საბჭოთა შრომა-გასწორების კანონმდებლობის მიხედვით ერთ-ერთ ძირითად პირობად იმისათვის, რომ პენიტენციარულ-პედაგოგიურ ღონისძიებამ გამოიღოს თავისი ნაყოფი, უნდა ჩაითვალოს პატიმართა მჭიდრო კავშირი ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან. სწავლა აღზრდის დარგში მომუშავეთა მთავარ მოკავშირედ ამ იდეის განხორციელების საქმეში გამოდის კინო და რადიო, რომელთაც განუზოღელი მნიშვნელობა აქვთ, როგორც „მასიური აგიტაციის უდიდეს საშუალებებს“.

პატიმართა შესაჩვევად კოლექტივისტური მუშაობისათვის საპატიმრო ადგილებში მათივე რიგებიდან ეწყობა სპეციალური წრეები: საერთო-საგანმანათლებლო, სალიტერატურო, დრამატიული, მუსიკალური; სპორტიული, საჭადრაკო, რადიო-მოყვარულთა და სხვ; გარდა ამისა პატიმართა ძალებითვე იკითხება მოხსენებანი, ლექციები, იმართება დისპუტები, კონცერტები, წარმოდგენები, სალიტერატურო საღამოები და სხვ., დიდი სამსახური შეიძლება გაუწიოს ამ საქმეს ამხანაგურმა სასამართლომაც (რაც უკვე დაკანონებულია უკრაინაში), რომელსაც თვით პატიმარნი ირჩევენ თავის წრიდან; ასეთ სასამართლოს შეუძლიან დიდი ზნეობრივ-აღმზრდელობითი გავლენა იქონიოს იმ პატიმრებზე, რომელნიც არღვევენ წესრიგს პატიმრობაშიც, იგი ებრძვის ყოველგვარ უარყოფით მოვლენას პატიმართა შორის და, მეტადრე, ძველი საპატიმროებისაგან ნაანდერძევ ზნე-ჩვეულებას და სხვ.

ჩვენს პირობებში სწავლა-აღზრდის საქმეს საპატიმრო ადგილებში უამრავი პრაქტიკული საშუალება მოეპოვება, მაგრამ ყველა ღონისძიება ემსახურება ერთ საერთო მიზანს, გამსჭვალულია ერთი მისწრაფებით — გამოასწოროს დამნაშავე. სრულიად საკავშირო პენიტენციარულმა თათბირმა თავის რეზოლიუციაში აღნიშნულ საკითხზე, მკაფიოდ მიუთითა სწავლა-აღზრდის საქმის მიზნები და მნიშვნელობა საპატიმრო ადგილებში, ხოლო მომავლისათვის ამ დარგში სამუშაოდ მოგვცა ფრიალ სასარგებლო პრაქტიკული დირექტივები და მოითხოვდა ამ დირექტივების ცხოვრებაში გატარებას; თათბირმა, გარდა ამისა, აღნიშნა ისიც, რომ ამ საქმისათვის საჭიროა ორგანიზატორ — პედაგოგების ისეთი კადრები, რომელთაც სპეციალური ცოდნა აქვთ მიღებული ამ მიზნით

*) დასაწყისი იხ. „საბ. სამართ.“ № 1.

დაარსებულ პენიტენციარულ კურსებზე; თვით ამ კურსების გახსნა თათბირმა სცნო მეტად სასურველად.

IV. საწარმოო-სამშურნეო მუშაობა

პატიმართა სავალდებულო შრომა საბჭოთა შრომა-გასწორების პოლიტიკის არსებითი და განუყრელი ნაწილია, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის შრომა-გასწორების კოდექსი ავალებს საპატიმრო ადგილს ისეთი რამ სამუშაო მისცეს პატიმარს, რომელიც „შეასწავლის მას რამე პროფესიის და ამით შესაძლებლობას მისცემს, სატუსალოდან გაოსვლისთანავე, მიეცეს შრომითი ცხოვრებას“. პატიმარი, თუ იგი ავად არ არის, უნდა მუშაობდეს, დამოუკიდებლად იმისა, გამოძიებაშია იგი მიცემული თუ უკვე მსჯავრდადებულია, იგი უნდა ეწეოდეს საზოგადოებრივად საჭირო საწარმო და სასარგებლო მუშაობას,—ასეთია შრომა-გასწორების კოდექსის კატეგორიული მოთხოვნა. ორ საპატიმრო ადგილს შორის პენიტენციარული (გამასწორებელი) მიზნები იქ ხორციელდება უკეთ, სადაც პატიმართა მეტი პროცენტია ჩაბმული სასარგებლო შრომაში და სადაც პატიმართა შორის არ არის „უშუშევრობა“. უმჯობესია, რომ პატიმართა მეტწილს მიეცეს რამ ცოდნა და ისეთი კვალიფიკაცია, რომელიც შეიძლება საკმაოდ მაღალი არ იყოს, მაგრამ მაინც აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნას, ვიდრე მაღალი კვალიფიკაცია მიეცეს პატიმართა მხოლოდ მცირე რიცხვს. რასაკვირველია, საქმის მოგვარება ამ მხრივ, დასახულ მიზნის განხორციელება სინამდვილეში შეიძლება არც ისეთი ადგილი იყოს, თუ არ იქნება საჭირო პირობები, მაგ., სადგომები სახელოსნოებისათვის სათანადო მოწყობილობით, ინვენტარითა და ფულადი სახსრით. საპატიმრო ადგილის განკარგულებაში ისეთი ხელსაყრელი მასალა მოიპოვება, როგორცაა შედარებით იაფი მუშა-ხელი; მან უნდა ისარგებლოს ამით და ისე მოაწყოს შრომის საქმე, რომ არ დასჭირდეს სუბსიდია, ე. ი. რომ იგი პარაზიტული არ იყოს ყოველ შემთხვევაში თავის შესანახი ხარჯი მაინც აანაზღაუროს.

იდეა საპატიმრო ადგილების თვითანაზღაურებაზე გადაყვანისა მიზანშეწონილი გამასწორებელი პოლიტიკის გატარებასთან ერთად, გამოიხატება შემდეგში: უნდა მოეწყოს საკმაოდ მძლავრი დაშემოსავლიანი სამუშაო ერთეულები საპატიმრო ადგილებთან; მათი წმინდა შემოსავალი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ საპატიმრო ადგილის საწარმო გაუჩერებლივ მუშაობდეს, და რომ ამ შემოსავლით დაიფაროს საპატიმრო ადგილის შესანახად სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ნორმალური ხარჯი (ხედამხედველობისა, მოსამსახურეთა, პატიმართა შესანახი და სხვ). აი ასე უნდა იყოს დაყენებული საკითხი საპატიმრო ადგილებში საწარმოების მოწყობის დროს.

ძნელია, რასაკვირველია, იმას თქმა, რომ ამ პრინციპის გატარება შესაძლებელია ყოველი პირობის გარეშე, რომ ყოველი საპატიმრო ადგილი უნდა მთლად სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებოდეს და თავის ხარჯებს ფარავდეს თავისი საწარმოების მოგებით,—არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ უპირველეს ყოვლისა უმეტეს შემთხვევაში როგორც თვით საპატიმრო ადგილის საწარმო, ისე

პატიმართა შრომაც, ჩვეულებრივი საწარმოების პირობებთან შედარებით, მეტად არახელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული: უქონლობა სათანადოთ კვალიფიციური ძალებისა, რაც ასე ესაჭიროება კარგად დაყენებულ საქმეს, შემადგენლობის ცვალებადობა და, რაც თითქმის ყველგან ემჩნევა, კაპიტალის (საბრუნავი კაპიტალის), განწყობილობის უქონლობა და სხვ. ასეთია საერთოდ მდგომარეობა და, პირველ ხანებში მაინც, შეიძლება ლაპარაკი გვექონდეს მხოლოდ ისეთი ცალკე საპატიმროების შესახებ, სადაც პირობები ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელია, მაგრამ როგორც პირველ შემთხვევაში, ისე უკანასკნელშიაც გვერდს ვერ აუხვევთ სახელმწიფოს დახმარებას პირველ ხანებში დაუბრუნებელი თანხების, დოტაციის და სხვ. სახით.

ძალიან ფართოდ ნუ დავაყენებთ საკითხს, ხელი ავიღოთ ჯერ-ჯერობით იმაზე, რომ საწარმოებლო მუშაობას ჩვენს საპატიმრო ადგილებში მივცეთ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ხასიათი, თუმცა ამის მაგალითებიც გვაქვს უკვე (რ. ს. ფ. ს. რ., მოსკოვი, ლენინგრადი, უკრაინა); ავიღოთ გეზი ხელოსნობის და შინა მშრეწველობის საქმის მოწყობაზე, რასაც საკავშირო კომ. პარტ. (ბ) მე-XIV ყრილობაზე მიექცა განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენ საპატიმრო ადგილებში ამ დარგების განვითარებისათვის, ფართო შესაძლებლობა და ხელსაყრელი პირობებია რაც საჭიროა რომ გამოვიყენოთ და უნდა გამოვიყენოთ კიდევ. პენიტენციარულ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა მოგვცა მნიშვნელოვანი მითითებანი ამ მხრივ. შრომისა და მასთან ერთად კულტურულ აღმზრდელობითმა დარგმაც უნდა სთქვან თავისი საბოლოო სიტყვა გასწორების იმ პოლიტიკის შედეგების შესახებ, რომელიც ტარდება საბჭოთა კავშირში. საპატიმრო ადგილის მუშაკი, რომელიც ვერ შეიგნებს ამ ამოცანას, ვერ შესძლებს საბჭოთა ხელისუფლების გასწორების იდეის სწორად გატარებას.

V. დახმარება განსათავისუფლებულ პატიმართ

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი შრომა-გასწორების საქმეში არ ამოიწურება გასწორების მარტო იმ მეთოდებით, რასაც ხმარობენ პატიმრის მიმართ მისი გამასწორებელ დაწესებულებაში ყოფნის დროს. ხანგრძლივი და დაქინებული მუშაობით მიღწეული დადებითი შედეგები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ნაყოფიერი, თუ პატიმარი განთავისუფლების შემდეგ ჩაყენებულ იქნება ისეთ პირობებში, რომ მას შეძლება მიეცეს შეუღდეს ახალ ცხოვრებას და გახდეს ღირსეულ საბჭოთა მოქალაქეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ჩვენი ცდა, მიმართული იმისაკენ რომ კანონის დამრღვევი გახდეს ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებელი, ფუჭად ჩაივლის. გასწორების ყოველი მეთოდი მთელი თავისი საშუალებებით ცდილობს მოსპოს დანაშაულობრივობა, ებრძვის მას, სანამ არ მიაღწევს თავის მიზანს - დანაშაულობრივობის საბოლოოდ განდევნას ჩვენ საზოგადოებიდან. გადაწყვეტი მნიშვნელობა ამ საკითხში აქვს იმას, თუ რამდენად ფართოდ იქნება შეფარდებული განთავისუფლებულ პატიმართათვის დახმარების აღმოჩენის პრინციპი.

საკითხის ასეთ დაყენებას გვიკარნახებს სახელმწიფოებრივი ანგარიში და საზოგადოდ მიზანშეწონილობის ინტერესები. ის გარემოება, რომ „დანაშაუ-

ლობრივობის ბიუჯეტი“ (ზიანი, რომელიც მოაქვს ქვეყნისათვის დანაშაულე ბრივობას: სისხ. სამ. სამკებრო მილიციის, სისხ. სამ. სასამართლოების და საპატიმრო ადგილების შენახვისათვის საჭირო ხარჯები, დანაშაულით გამოწვეული უშუალო ზიანი, გაფლანგული თანხა, ნაქურდალის და ნაძარცვის ღირებულება და სხვ.) ოდნავადაც არ მცირდება, აგრეთვე რეციდივის და პროფესიონალურ დანაშაულებრივობის ზრდა გვაიძულებს სერიოზულად ვიზრუნოთ განთავისუფლებულ პატიმართათვის ნამდვილი დახმარების ორგანიზაციისათვის. დანაშაულებრივობასთან ბრძოლის საკითხი—ეს უმთავრესად რეციდივთან ბრძოლის საკითხია, ხოლო „მთელი დანაშაულებრივობასთან ბრძოლის სისტემა შესდგება სამი თანასწორ ღირებულების ნაწილისაგან—განაჩენის გამოტანა, განაჩენის სისრულეში მიყვანა და პატრონატი კრებული „Современная преступность“ 1928 წლ. გამოცემა).

განთავისუფლებულ პატიმართათვის დახმარების ორგანიზაციის აუცილებლობა პრინციპიალურად უდავოდ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ დახმარების ორგანიზაციულ და იურიდიულ ფორმების გამოჩახვა კი უკვე დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

მუშურ-გლეხური სახელმწიფოს განსაკუთრებულ მოვალეობას წარმოადგენს თავიდან ააციდინოს განთავისუფლებულ პატიმარს, რეციდივის შესაძლებლობა და მისცეს მას საშუალება დაუბრუნდეს თავის კლასს.

სწორი განაჩენის გამოტანას სასამართლო ორგანოების მიერ ისეთივე მნიშვნელობა აქვს გამოსწორების საქმისათვის, როგორც ყველა სხვა მეთოდს, რომლითაც სარგებლობს საბჭოთა ხელისუფლება თავის შრომა-გასწორების პოლიტიკის გასატარებლად.

ის მოკლევადიანი განაჩენები, რომლებსაც დღემდე უფარდებდნენ რეციდივისტებს სასამართლოს ორგანოები, რა თქმა უნდა, ვერ გამოდგებიან გაჯანსჯობებელ ღონისძიებად და ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შეიძლება ასეთ პირთა გასწორება მათი მოთავსებით გამასწორებელ დაწესებულებებში მცირე ვადით და აგრეთვე დახმარების აღმოჩენით ამ დაწესებულებებიდან გამოსვლის შემდეგ—სრული აბსურდია. ამ ჟამად, რეციდივთან საბრძოლველად განსაკუთრებულ ღონისძიებების გამოიმუშავებების დროს, ამ დებულებას, უეჭველია, გაეწევა სათანადო ანგარიში.

შრომა-გასწორების მეშვეთა სრულად საკავშირო თათბირმა სცნო, რომ განთავისუფლებულ პატიმართათვის დახმარების აღმოჩენი დაწესებულებებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ისინი უდალდეს როლს თამაშობენ დანაშაულებრივობასთან წარმატებით ბრძოლის საქმეში.

ამის მიხედვით თათბირმა გამოიმუშავა ძირითადი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციების ფორმებს. ამ საკითხზე გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია:—„დაცული და გაღრმავებული უნდა იქნეს სახელმწიფოებრივი დახმარების პრინციპი ყველა აქედან გამომდინარე საორგანიზაციო შედეგით.

თვითეულ მოკავშირე ავტონომიური რესპუბლიკაში უნდა შეიქნას მკაფიოდ მომუშავე ორგანიზაცია განთავისუფლებულ პატიმართათვის დახმარების აღმოსაჩენად.

„ასეთ დანხმარე ორგანიზაციების შექმნა წარმოადგენს უპირველეს და აუცილებელ პირობას, რომლის გარეშე ყოველგვარ მუშაობას პატრონატის დარგში უთუოდ შემთხვევითი და უგეგმო ხასიათი ექნება. დანაშაულის განმეორების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ განთავისუფლებულნი პატიმარნი ჩაყენებულ იქნენ საღ პირობებში და რომ მათ შესძლონ აღადგინონ ის საზოგადოებრივი და პროფესიონალური კავშირი, რომელიც გაუადვილებს მათ სამუშაოს შოვნას. საგრძნობ დაბრკოლებას ამ მხრივ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მეტად ძნელია განთავისუფლებული პატიმრის აღდგენა პროფკავშირის წევრის უფლებებში, რასაც მომავალში აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი. ამ საკითხში საჭიროა სრული შეთანხმება პროფკავშირულ ორგანიზაციებთან იმისათვის, რომ გაადვილებულ იქნეს პროფკავშირის წევრად აღდგენა იმ განთავისუფლებულ პატიმრებისათვის, რომლებიც დაპატიმრებამდეც, ირიცხებოდნენ პროკავშირის რიგებში“.

ზემოთქმულიდან ნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებების მონაწილეობა განთავისუფლებულ პატიმართათვის დახმარებას აღმოჩენის საქმეში. განთავისუფლებულ პატიმართათვის დახმარების აღმოჩენით სახელმწიფო თავიდან აიშორებს მრავალ დანაშაულს, რომელიც შესაძლებელია ჩაიდინოს მომავალში ცუდ პირობებში ჩავარდნილმა განთავისუფლებულმა პატიმარმა, ხოლო თვით საბჭოთა საზოგადოებრივობა თავის მონაწილეობით აღნიშნულ საქმეში შესძლებს დაიბრუნოს თავის წრეში დროებით ჩამოშორებული ელემენტები და აპით უზრუნველჰყოფს მომავალ სოციალისტურ საზოგადოებისათვის მშვიდ აღმშენებლობითი ცხოვრების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის შრომა-გასწორების პოლიტიკამ, რომელიც ბურჟუაზიული პენიტენციალური პოლიტიკის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს, რომელიც ემყარება დანაშაულებრივი წრის ყველა მოვლენისა და მისი ელემენტების ღრმა მარქსისტულ ანალიზს და გამართლებულია თავისი 11 წლის არსებობის ფაქტებით, დაამტკიცა, რომ იგი სავსებით შეეფერება კომუნისტურ შეხედულებას საზოგადოებაზე.

დასასრულ მე მსურს აღვნიშნო, რომ ჩემი მიზანი იყო მოკლედ შევხებოდი საბჭოთა კავშირის გამასწორებელ პოლიტიკას, რადგანაც საკითხის უფრო სრული გაშუქებისათვის ჩემს განკარგულებაში არ მოიპოვებოდა საკმარისი მასალა, გარდა თათბირის ზოგიერთ რეზოლიუციისა და რამდენიმე წერილისა აღნიშნულ საკითხზე.

ჩვენ გვწამს, რომ იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის და შრომის სახალხო კომისარიატები, რომლებიც ასე თუ ისე მონაწილეობას იღებენ საბჭოთა გამასწორებელ პოლიტიკის გატარებაში, უთუოდ აღამაღლებენ თავის ავტორიტეტულ ხმას, ხოლო ჩვენი პარტიულ და ზემდგომ საბჭოთა ორგანიზაციების მოვალეობას შეადგენს სათანადოდ გამოეხმაურონ მათ.

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ გარდაიცვალა იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ქ. ბორდოში (საფრანგეთი) პროფ. ლეონ დიუგის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ლეონ დიუგის სახით ბურჟუაზიულმა სამართლის მეცნიერებამ — განსაკუთრებით სახელმწიფო სამართლის — დაჰკარგა ერთი ნიჭიერი კორიფეი, რომლის იურიდიული დოქტრინა მედგარ შეტევას აწარმოებდა საუკუნოებით განმტკიცებულ და ჩამოყალიბებულ სამართლის ტრადიციულ გაგების კატეგორიებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ.

დიუგიზმში, როგორც ორგინალურ იურიდიულ კონცეპციაში, უსათუოდ არის მოცემული ახალი თესლი სამართლის პრობლემების განაყოფიერებისა და გადაჭრისათვის, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ამართლებს მათ სიზიჯის შრომას, ვინც დიუგის აზრების საბჭოთა სინამდვილეში მექანიკური გადმოტანით და მისი პოპულიარიზაციით კმაყოფილდებიან, რასაც სამწუხაროთ — ეს უნდა აღინიშნოს დღეს მეტი გარკვევით — ა. გ. ო. ხ. ბ. ა. რ. გ. დ. რ. ო. ხ. ე. ნ. ბ. ლ. ი. უ. შ. ი. და სხვ. ასე ენერგიულად აკეთებენ ძირითადი მომენტი ის არის. რომ დიუგიზმის კრიტიკისტულმა ნაწილმა რასაც დიუგი საკმაო გაბედულებით და ერუდიციით აწარმოებს სუბიექტიურ სამართლის მეტაფიზიკურ კონცეპციისა და ნაპოლეონის კოდექსის, ამ ბურჟუაზიის „იურიდიულ სახარების“ წინააღმდეგ — არ უნდა შეგვიყვანოს ისეთ შეცდომაში, თითქოს დიუგის მოძღვრება დეზინფექციაქმნილი იყოს იმ იდეოლოგიურ და კლასიურ ელემენტების სიმახინჯისაგან, რაც ერთიანად ახასიათებს მთელ ბურჟუაზიულ იურისპრუდენციას. დიუგი — იურიდიული განათლების მატარებელი ბურჟუა, რომელიც ერთი შეხედვით ანგრეც კაპიტალისტურა საზოგადოების უფლებრივ ჩარჩოებს, მაგრამ არსებითად მთელი მისი გამჭრიახობით და ერუდიციით იცავს ამავე წყობილებას.

ლ. დიუგიმ თვითონ განაცხადა პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს შკოლაში 1908 წელს ლექციის დროს, რომ: „მე არსებითად მარს უჭერ იმ მოსაზრებას, რომელიც კლასთა ბრძოლის თეორიას უვარგის (огварительная, დოქტრინათ სთელის“ — ო. (Л. Дюги „Социальное право, индив. пр. и пр. гис. Моск. 1909 ст. 17).

აქედან ცხადია, თუ რა დიდი უფსკრულია მარქსისტულ მსოფლგაგებას და დიუგიზმს შორის: სახელმწიფოს, სამართლის და სოციალურ პრობლემათა გადაჭრაში. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ვილაპარაკოთ დიუგის სოციალისტობაზე და საერთოდ პროგრესიულობაზე. მთავარი დიუგიზმში — მისი მოძღვრების კრიტიკისტული ნაწილია გაბატონებულ თეორიებს და მომქმედ სამართლის შესაცვლელად, თუმცა აქვე უნდა მიუთითოთ, რომ ეს კრიტიკა დაუმთავრებელი, მერყევი და ოპორტიუნისტული რეფორმის სახით გვევლინება. მარქსისტული ღრმა სოციალოგიური მიდგომა და მატერიალისტური დიალექტიკით განჭვრეტა სოციალურ პრობლემებისა. დიუგისათვის არ არსებობს. ერთი შეხედვით დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტია, რომ დიუგიმ-სახელმწიფო — მეტყველმა — განაცხადა: „ნამდვილად რომ ვსთქვათ პრობლემა ისმის არა სახელმწიფოს

აღმოცენების შესახებ, არამედ პოლიტიკური ხელისუფლების კანონიერებაზე“-ო (Л Дюги „Конституционное право, общая теор. государ. Моск. 1908 г. ст. 27). ეს ფრაზა ბორდოს პროფესორისა კიდევ ზედმეტად ამტიცებს იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერების წარმომადგენელი, სანამ ისინი კაპიტალისტური სისტემის დაცვის ნიადაგზე სდგანან, რა გინდ ნიჭიერთ, გულწრფელად და ენერჯიულად არ იკვლევდეს სოციალურ შინაარსის საკითხებს, მაინც დაუმთავრებელი, ოპორტიუნისტული ოპოზიციით ასრულებენ თავის მოღვაწეობას და ამდენად მათ საქმიანობაში ადვილი მოსანახია რეაქციონური განწყობილების უხეშა ცინიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ დიუგი აცხადებდა: „მე არ ვიძულები არც ერთ პარტიაში, არ ვეკუთვნი პრცერთ ეკლესიას, დიდი აპტივისცემა მაქვს ყველა სარწმუნოებისადმი; პირადათ მე არ ვსცნობ არავიარ დოგმას რომელიმე დარგში; ვემსახურები მხოლოდ მეცნიერებას დაფუძნებულს ფაქტების ობიექტურ და კვირებაზე“-ო (იხ. Л. Дюги „Общие преобразования гражд. права. ст. 9—10 Моск. г. и. з. 1919 г.). ძნელი არაა მის მოღვაწეობას და მოძღვრებას ვარკვეული კლასის (ბურჟუაზიის) და მამასადამე გარკვეულ პოლიტიკურ მიმდინარეობის სარჩული მოუნახოთ.

მართლაც და რა სოციალ-ეკონომიურ ვითარებაში წარმოიშვა დიუგიზმი? ვინც დაინტერესებული ყოფილა სოციალური პრობლემებით და თვალ-ყურს ადევნებდა 19 და 20-ცე საუკუნის მიჯნაზე კაპიტალიზმის წიაღში მომხდარ უდიდეს გადატეხებს, რომელიც ერთი მხრივ დაკავშებული იყო იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა საერთო ზრდასთან, და მერე მხრივ მუშათა მოძრაობის გარკვეულ სტადიასთან, მისთვის ნათელი იქნება, რომ ინდივიდუალისტურ სამეურნეო ანარქიის ადგილზე „ჩამოყალიბდა მონოპოლიისა და ფინანსურ კაპიტალის ბატონობა“ (Н. Ленин. собр. соч. т. XV ст. 446), რომ კაპიტალისტურ წარმოების საერთო სისტემაში, ერთეულ სუბიექტების ადვილი დაიკავა ისეთმა გაერთიანებებმა, როგორიცაა: სინდიკატები, ტრესტები და საბანკო კონსორციუმები; მცირე, მაგრამ შეძლებულ კაპიტალისტურ ასოციაციების ხელში მოხდა საკუთრების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, სადაც კაპიტალი (მიუხედავად კონკურენციისა) მთლიანი ძალით გამოდის: „რომელიც სუვერენულად ბატონობს საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებზე“ (Р. Гильфердинг „Финансовы кап. ст. 277. Моск. 1923 г.). აი ამ აღნიშნულ პროცესების ნიადაგზე წარმოიშვა დიუგიზმი და მათ გამართლებას და დასაბუთებას წარმოადგენს მისი „სოციალურ ფუნქციის“ თეორიაც (იხ. ამის შესახებ А. К. Стальевич „Пути развития советской прав. мысл. изд. Ком. Акад. 1928 г. ст. 27). დიუგიმ თავის „სოციალურ ფუნქციის“ თეორიას საფუძვლად სოლიდარიზმის იდეა დაუდვა, რომელიც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა და კაპიტალის მფლობელობის ფაქტის ცნობის ხელშეუხებლობას, „კლასთა კოორდინაციისა და იერარქიის“ რეჟიმის პირობებში. (Л. Дюги, общ. пред. ст. 88). ახლა ვიკითხოთ რას ნიშნავს სოლიდარიზმი დიუგისთვის ან რა შინაარსის შემცველია ეს ცნება? ამაზე დიუგი უპასუხებს: „სოლიდარობაში მე ვხედავ მხოლოდ ურთიერ დამოკიდებულებას (interdependance) ფაქტს, რომელიც

საერთო მოთხოვნებისა და შრომის განაწილების გამო, აკავშირებს ერთ-მანეთთან კაცობრიობის წევრებს და კერძოთ ერთ და იგივე სოციალურ ჯგუფის წევრებს“ ო (Л. Дюги „Соц. право. инд. и пр. проч. ст. 22). ძნელი არაა იმის გაგება, რომ დ ი უ გ ი ს სოლიდარიზმის დოქტრინა, რომელიც საფუძველია მისი თერიის, ადამიანის სოციალურ მოვლეობაზე ლაპარაკობს და ამდენად მეცნიერული თვალსაზრისით უადგილო არ იყო პრო. ჰ. ნოვგოროდცევი ს შეკამათება, როცა ის ამბობს: „ჩვენ უფლება გვაქვს ვამტყიცოთ, სოლიდარობის დოქტრინა ემყარება აპრიორულ და დაუსაბუთებელ მტკიცებაზე“-ო (იხ. წინასიტყვაობა; КОНСТИТ. ПРАВО-ს რუსული თარგმანი გვ. X XIV).

კ. მარქსის მიერ საკითხის დაყენება: „ეკონომიურ ურთიერთობას აწესრიგებენ უფლებრივი შემეცნებანი თუ, პირიქით, უფლებრივი შემეცნებანი გამომდინარეობენ ეკონომიურისაგან? (იხ. კ. მარქსის „კრიტიკა გოტის პროგრამისა“, ტფ. 1923 წ. გვ. 36) არ არსებობს დიუგისთვის; თითქოს მარქსის გენიალური დებულება ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნით ადრე გამოთქმული დიუგის მოღვაწეობამდე ამ უკანასკნელისათვის უშედეგოდ დარჩა, რითაც დიუგიმ ძლიერ დაბალი რანგის და საექვო მეცნიერული წონის მქონეთ გახდა თავისი შემოქმედება. დიუგის მაგალითზე უნდა ისწავლონ, რომ მარქსის მეთოდის და პრინციპების გვერდის ავლით არავითარი სერიოზული რამეს გაკეთება არ შეიძლება მეცნიერებაში. ყოველ იურიდიულ პრობლემების მკვლევარს უნდა ახსოვდეს, რაა: „უფლებრივი ურთიერთობანი, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ფორმები შეუძლებელია ახსნილი იქნას ან თვით მათის, ან ეგრედ წოდებული კაცობრიობის სულის საერთო განვითარების საშუალებით. მათ ფსევები გადგმული აქვთ უფრო ცხოვრების მატერიალურ ურთიერთობაში, რის შეერთებულებასაც ჰეგელი მე-XVIII ს. ინგლისელთა და ფრანგთა მეზავსათ, უწოდებს „სამოქლაქო საზოგადოებას“, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ანატომია უნდა ვეძიოთ პოლიტიკურ ეკონომიაში“ (კ. მარქსი „К КРИТ. ПОЛИТ. ЭКОН. ИХ. წინასიტყვაობა).

პროფ. ჰ. ნოვგოროდცევი, რომლის პოლიტიკური ფიზიონომია საკმაოდ ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის, იმავე წერილში უსაყვედურებს დიუგის: „ის დად მნიშვნელობას აძლევს იურიდიულ კონსტრუქციას... ვიდრე საქმის არსებით მხარეს“-ო („ibid“ სტ. XXVII) და იქვე აღნიშნავს; თანამედროვე კონსტიტუციონური სამართლის თანმიმდევრობითი თეორია სოლიდარობის პრინციპზე არ შეიძლება აშენებული იქნეს“ (ibid სტ. XXVII) და დაასკვნის: დიუგი მიუხედავად იმისა, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობას აწარმოებს სუბიექტური სამართლის, როგორც მეტაფიზიკურ, კონცეპციის წინააღმდეგ—ემსახურება ძველი ბუნებითი სამართლის (ე. ი. თითქოს თანდაყოლილ, უცვლელ და მარადიულ სამართლისა ე. ე-ძე) თეორიას აღდგენასო (ibid სტ. XXI). აქედან ერთი გარემოება ცხადათ ამკარავდება: თუ ბურჟუაზიული პროფესორები ასე საექვო მეცნიერული თვალთ უმხერენ დიუგისმს, ჩვენ მეტი სიფრთხილე გვმართებს მისი ბრჭყვიალა ფრაზების და დებულებების ხმარების დროს.

ასე მაგ. დიუგი ამბობს „რაც შეეხება საკუთრებას ის უკვე არ არის თანამედროვე სამართალში ხელშეუხლებელი უფლება, აბსოლიუტური, რომლი-

თაც ადამიანი ფლობს სიმდიდრეს უკანასკნელის ქონებით“... „ჩვენ საკითხებს ვიკვლევთ დაკვირვების გზით ფაქტებზე მიუდგომელ კვლევა-ძიების დახმარებით“-ო (М. Дюги ირც. პერ. სტ. 19), მაგრამ, თუ რამდენად მიუდგომლად იკვლევს საკითხებს განსვენებული პროფესორი ეს იქედან სჩანს, რომ აქვე გვერდზე ამბობს: „საკუთრება არის და უნდა იყოს. ის აუცილებელი პირობაა საზოგადოების წარმატებისა და აყვავების, კოლექტივისტური დოქტრინები არის ველურობისაკენ დაბრუნება“-ო (ibid სტ. 19). აქ დიუჯი გამოდის ბურჟუაზიულ წყობილების გაშიშვლებულ აპოლეგეტათ და ვერავითარი კრიტიკა სუბიექტიურ სამართლის ცნებისა და მისი მეტაფიზიკათ გამოცხადება ვერ მოაცილებს ამ იარლიკს. თუ აქვე მოვიგონებთ პროფ. ა. ს. ალექსევის სიტყვას, რომ დიუჯის საყოველთაო ხმის მიცემით არჩეული პარლამენტი მიაჩნდა (პარლამენტი, რომელიც ბურჟუაზიის ხელში პროლეტარიატის დასაჩაგრავათ პოლიტიკურ კომედიის გათამაშებას წარმოადგენს, კანონიერების დაცვის გარანტიათ (А. С. Алексеев წინარიტყება დიუჯის შრომას „Соц право. 12 გვ. 10) მაშინ ნათლად გამოიკვეთება ავ. ბ ე ბ ე ლ ი ს ცნობილი სიტყვების მნიშვნელობა ჩვენთვის: „იურისტები მსოფლიოში ყველაზე უფრო რეაქციონური ხალხია“-ო და ამ ხალხთა შორის საპტიო ადგილი დიუჯისაც მიეკუთნება. ჩვენ ვათავებთ დიუჯის სიტყვებით; „არაფერაა საბოლოო ამ ქვეყნათ; ყველაფერი იცვლება და იურიდაული სისტემა, რომელიც დღეს შექმნის პერიოდში იმყოფება, ერთ მშვენიერ დღეს დაუთმობს ადგილს სხვა სისტემას, რომელსაც განსაზღვრავენ მომავალი იურისტ-სოციოლოგები“-ო (ირ. პერიდ. პრ.). ეს მშვენიერი დღე უკვე დადგა და საბჭოთა იურისტები დიდი ხანია საზღვრავენ ნამდვილ ბუნებას სამართლისას პროლეტარული რევოლიუციის საკეთილდღეოთ!

ევლ. ენუქიძე

იურიდიული დახმარება

შეკითხვა.

მე ვარ გლეხი, ჩემი ოჯახი შესდგება 10 სულისაგან, მე არ მაქვს სრული ნორმა მიწისა. იმის გამო, რომ ჩემი საკუთარი მიწა არ მყოფნიდა ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მე იძულებული ვიყავი იჯარით ამელო მიწა. ამ მიწას ჩემი ოჯახი ამუშავებს უკვე 37 წელაწაღია. დღეს იგი ჩამოერთვა მის მოსარგებლეს, ვისგანაც მე მქონდა იგი აღებული იჯარით და ამ ჩამორთმევასთან ერთად იგი მეც ჩამოერთვა. აპიტომ გეკითხებით, რამდენად კანონიერია ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედება, რომ მან მე ეს მიწა ჩამოერთვა და კანონიერია თუ არა რომ მე მოვითხოვო ამ მიწის ნახევარი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწა უნდათ გადასცენ კოპუნას.

ს. სადმელში (რაქა-ლეჩხუმის მაზრა) მცოვრები გლეხი

სარდიონ კერესელიძე.

პ ა ს უ ხ ი:

ის, რომ თქვენ იჯარით ჰქონდათ აღებული სხვისი სარგებლობის მიწა და ეს იჯარა გრძელდებოდა დიდხანს, არ განიჭებთ უფლებას ამ მიწაზე. თქვენი სარგებლობის მიწის ისეთი რაოდენობაც, რის დამუშავება არ ვაძლევთ თქვენ საშუალებას დააკმაყოფილოთ თქვენი და საკუთარი ოჯახის პირვანდელი მოთხოვნილებანი, არ წარმოშობს უფლებას იჯარით აღებულ მიწაზე. მიწის სიმცირე ვაძლევთ თქვენ უფლებას მიმართოთ ხელისუფლებას თხოვნით მიწის დანაკლისი შეგივსოს ნორმამდე და ასეთი თქვენ შეგვესებათ, თუ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. ხოლო იმ მიწის ნაკვეთის მიღების იმედი, რომელიც თქვენ იჯარით ჰქონდათ, თქვენ არ შეიძლება გქონდეთ განსაკუთრებით იმ პირობაში, როცა იგი დანიშნულია გადასაცემად კოლექტივისათვის, რომელიც მიწის მიღების საქმეში უპირატესობითი უფლებით სარგებლობს.

ს ს ვ ა ღ ა ს ს ვ ა

ამონაწერი იუსტსახკომის ბრძანებიდან (№ 1. 1929 წ. 2 იანვარი; № 8. 1929 წ. 13 იანვარი).

გამოეცხადოს საყვედური გორის მაზრის პროკურორს ვასილ ერმილესძე ხუნდაძეს, იუსტსახკომის დავალებათა თავის დროზე შეუსრულებლობისათვის.
იუსტსახკომი—შ. მათიკაშვილი.

გამოეცხადოს საყვედური ქ. ტფილისის მე-9 უბნის სახ. გამომძიებელ რაქ-დენ პაველსძე ქორჩილავას მისი უტაქტო მოქმედებისათვის ბრალდებულის და-კითხვის დროს ქ. ტფილისის II-რე საავადმყოფოში 1928 წ. დეკემბრის 22-ს.
იუსტსახკომი—შ. მათიკაშვილი.

დადგენილება.

1929 წ. 14 იანვარს განვიხილე რა საქმე თიონეთ-ერწოს საგამომძიებლო უბნის სახალხო გამომძიებელი ნიკოლოზ ისიდორესძე ციბაძის ბრალდების შე-სახებ ვპოვე შემდეგი: მოკვლევით და გამოძიებით სავსებით დადასტურებულია, რომ ხსენებული უბნის გამომძიებელმა ციბაძემ ორი თვის წინათ თიონეთ-ერწოს კოოპერატივის სასადილოს წინ ღამის ორ საათზე—მთვრალმა—ორჯერ გაის-როლა რევოლვერიდან, მანვე ერთი თვის წინათ ადგილობრივად მცხოვრებელი მეცხვარე ნაკვეთაურის ოჯახში ვახშობის დროს ნასვამმა გაისროლა რევოლვე-რიდან, რა შემთხვევებიც საზოგადოებამ გაიგო და ასეთი მოქმედებით მან გაუ-ტება სახელი ხელისუფლებას ე. ი. ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული სისხ. სამ. კოდექსის 119 მუხ. 2 ნაწ., რომლისა გამო დავადგინე: ხსენებული უბნის სახალხო გამომძიებელი ნიკოლოზ ისიდორესძე ციბაძეს, თანახმად სისხ. სამ. კოდ. 119 მუხ. 2 ნაწ. დაედოს დისციპლინარული გადასახდელი და დღეის რიცხვიდან იქნეს სამსახურიდან დათხოვნილი და საქმე შემდეგი წარმოებით მოისპოს.

იუსტსახკომისარი და რესპუბლიკის პროკურორი—შ. მათიკაშვილი.

მივლინებაში გამგზავრება.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. ილარიონ ტალახაძე ა.წ. იანვრის 22-დან თანამდებობრივი საქმეების გამო მივლინებულია კახეთში.

ახალი დანიშნები და სამსახურიდან განთავისუფლება.

გ.წ. დეკემბრიდან უზენაეს სასამართლოს წევრად დანიშნულ იქნა გიორგი ჯიოევი: სასამართლოს წევრის თანამდებობიდან იმავე რიცხვებში განთავისუფ-ლებული იქნა ეფრემ გაგლოევი.

ტფ. შრომის სასამართლოს წევრი **გ. ჩაჩანიძე** დანიშნული იქნა შემადგენლობის თავმჯდომარეთ; შრომის სასამართლოს წევრათ დანიშნულია **მარიამ შაჩიჭაძე**.

ქიათურის უბ. სახ. გამომძიებლად ა.-წ. იანვრის 10-დან დანიშნულია **ივანე სანებლიძე**.

ა.-წ. 1 იანვრიდან კრებალოს უბნ. გამომძიებლათ დანიშნულია **ივანე მანაგაძე**.

ცაგერის უბნ. სახ. გამომძიებლად დანიშნულია **ნიკოლოზ ჯაბუკიანი**.

ონის უბნ. სახ. გამომძიებლად დანიშნულია ა.-წ. 1 იანვრიდან **გიორგი ბაკურაძე**.

რაჭა-ლეჩხუმის მაზ. პროკურორი **პ. ვაჩაძე** გადაყვანილია ოზურგეთის მაზ. პროკურორათ ა.-წ. 25 იანვრიდან.

ა.-წ. 20 იანვრიდან საბინაო საქმეთა სახ. მოსამართლეთ **დ. ხიხაძე** განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ა.-წ. 18 იანვრიდან განთავისუფლებულია თანამდებობიდან ტფ. მაზრა-ქალაქის პროკურორი **გიორგი მიროჭაძე**.

ა.-წ. 5 იანვრიდან ლაილაშის უბნ. სახ. მოსამართლედ დანიშნულია **დავით ჩაკვეტაძე**.

ცაგერის უბნის მოსამართლედ გადაყვანილია **სერგო საყვარელიძე**.

იუსტიციის სახ. კომისარიატის საერთო განყოფილების გამგე ამხ. ალ. ყა-
მარაული გ.-წ. 10 დეკემბრიდან განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

გ.-წ. 16 დეკემბრიდან ტფ. მაზრა-ქალაქის პროკურორი **ისიდორე გულორდავა** გადაყვანილია შორაპნის მაზრის პროკურორად.

გ.-წ. 14 ნოემბ. აღდგენილ იქნა აბაშის უბნის სახ. სასამართლო.

ტფ. შრომის საქმეთა სახ. მოსამართლედ **დ. გაბაშვილი** გ.-წ. 16 დეკემბრიდან განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ა.-წ. 5 იანვრიდან ჩოლურის სახ. მოსამართლეთ დანიშნულია **ივანე ლობჟანიძე**.

რედაქციამ მიიღო მელიტონ შარაშიძის წიგნი „სისხლის სამართლის დამნაშავეთა სახეები“.

ბიზლიობრაფია

საბჭოთა აღმშენებლობა. სრულიად საქ. ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და ტფილისის საბჭოს ორკვირეული ორგანო. № 1 1929 წ. ტფილისი. გვ. 64. ფასი 20 კაპ.

ვინც თვალყურს ადევნებს სოციალისტური აღმშენებლობის მიმდინარე პერიოდს და იცნობს იმ როლის უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც დაკისრებული აქვს საბჭოთა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს. მისთვის მეტად მიზანშეწონილად და დროულად უნდა იქნას მიჩნეული სპეციალური ჟურნალის მიძღვნა იმ საკირ-ბოროტო საკითხების გაშუქებისათვის, რასაც მთელი რიგი აღმშენებლობითი ხასიათის სიძნელეებისა რელიეფურათ აყენებენ ჩვენს წინაშე.

აღნიშნული ნომერი იხსნება ამხ. ფ. მახარაძის პროგრამული წერილით, რომელშიაც ავტორი სერიოზული წინდახედულობით არკვევს იმ ამოცანებს და ფარგალს, რასაც უნდა ემსახუროს ჟურნალ „საბჭოთა აღმშენებლობა“. ავტორი მიუთითებს, რომ: „ახალი ჟურნალისათვის მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს საბჭოების მუშაობის გაცნობელება, როგორც ქალაქად ისე სოფლად, ამ მუშაობაში მუშების და გლეხების ფართო მასსების ჩაბმას არასიტყვიერად, არამედ საქმით, საბჭოების მასსიურ მუშაობის გასაძლიერებლად სათანადო ღონისძიებათა და საშუალებათა გამოყენება“ (კურსივი ავტორისა).

ამხ. ფ. მახარაძის წერილის შემდეგ მოთავსებულია რედაქციის მიმართუა საბჭოთა ორგანოებისადმი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „ჟურნალი გაუწევს იდეურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს, გააშუქებს კომისარიატების, მანრა-აღმასკომების, თემალმასკომების და სხვა საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას, აღწესნავს მათ მიღწევებს და ნაკლუვანებებს, გამოეხმაურება ყოველგვარ საკირ-ბოროტო საკითხებს და საერთოდ დაეხმარება საბჭოთა ძირეულ აპარატის გაუმჯობესებას“. ო. ჩვენ ვფიქრობთ რომ ჟურნალის ხელმძღვანელები მთანერხებენ ამ დაპირების რეალიზაციას, „რითაც დიდ დახმარებას გაუწევს საბჭოებს ყველა პატიოსან და გულწრფელი მუშაკის თავის მუშაობის შესრულებაში“ (ამხ. ფ. მახარაძის აღნიშნულ წერილიდან).

შემდეგი წერილი „ბურჟუაზიული დემოკრატია და საბჭოთა არჩევნების საფუძვლები“ ეკუთვნის ი. ვარძიელს. წერილი დაუმთავრებელია, და ამიტომ შეუძლებელია მისი მთლიანი შეფასება. (ამ წერილზე სპეციალურად სხვა დროს—რეცენზენტი).

სხვა წერილთა შორის აღსანიშნავია ამხ. დ. ქუჩულორიას „საბჭოების საანგარიშო კომპანია“ და ვლ. ორჯონიკიძის „ადგილობრივი ბიუჯეტი და საარჩევნო კომპანია“. აღნიშნული ავტორები საქმის სერიოზული ცოდნით არკვევენ აღებულ თემას და მეტად გარკვეულ სურათს იძლევიან ჩვენი მიმდინარე საქმიანობისათვის.

ჟურნალში მოთავსებულია: განკარგულებათა მიმოხილვა ოფიციალური ნაწილი და ისეთი ხასიათის წერილები, რომლებიც ადგილების ცხოვრებას ეხება და აშუქებს. რედაქციას უწონებთ ასეთი კურსის აღებას. ჟურნალის ბირველი ნომერი ისეთ შთაბეჭდილებას იძლევა, რომ ის შესძლებს მისი არსებობის და დანიშნულების გამართლებას; ფასი მასიურად ხელმისაწვდომია.

აღსანიშნავია ტენიკური გამოცემის სისუსტე, რაც მომავალში გამოსწორებული უნდა იქნეს.

ჩვენ ველოდებით შემდეგ ნომრებს.

რეცენზენტი.

კანონმდებლობის მიმოხილვა.

ს. ს. რ. კავშირის კანონმდებლობა.

1928 წ. დეკემბრის განმავლობაში.

მიწის კანონმდებლობა.

მიწათსარგებლობის და მიწათმოწყობის ზოგადი საწყისების დამტკიცების შესახებ (ც. ა. კის დადგ., 1928 წ. დეკემბრის 15—„კოესტია“ № 292, დგ. 16).

ს. ს. რ. კავშირის საადგილ-მამულო წესწყობილებების საფუძველი მიწის ნაციონალიზაციას, ე. ი. მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და განსაკუთრებით ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო საკუთრების დაწესება მიწაზე. ამასთან დაკავშირებით ყოველი გარიგება, ამჟამად ან ფარულად დაირღვევა მიწის ნაციონალიზაციის პრინციპი (მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, გაჩუქება, ანდერძით გადაცემა და სხვ.) ბათილად ჩაითვლება და გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

საწყისებში დაწვრილებით განსაზღვრულია კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებანი.

ძირითად ამოცანად მიწათმოწყობის გატარებისა, მიწათსარგებლობის ორგანიზაციის დროს უნდა ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარება, მასში სოციალურ-მშენებლობის გაძლიერების უზრუნველყოფასთან ერთად.

ყველას, ვინც-კი მოიაურევს მიწის დამუშავებას თავისი შრომით, შეუძლიან მიიღოს იგი შრომითი სარგებლობაში მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობაში განსაზღვრულ წესით. უპირატესობა ამ მხრივ ეძლევა სას-სამეურნეო კოლექტივებს და ღარიბ და საშუალო შეძლების უმირწაფელო და ნაკლები მიწის მონარგებლე მოსახლეობას; უპირატესობა აქვთ მათ მიწების აკარგიანობისა და ადგილმყოფელობის მხრივაც (უკეთესი ნაკვეთები). იმას, ვისაც ჩამორთმეული აქვს საარჩევნო უფლება, მიწა უკანასკნელ რიგში მიეცემა. ხოლო ყოფილ მემამულეთ არ მიეცემა მიწა იმ რაიონში, სადაც მათ ჰქონდათ უწინ მიწები. მიწა მიეცემა მონარგებლეს ვადის განუსაზღვრელად, აკრძალულია რაიმე უფლებათა უთანასწორობის შეტანა. მიწების გადაწესება ისეთ საზოგადოებაში, სადაც გატარებულია მიწის სათემო სარგებლობის წესი მონდობა იმ ვადებში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულ იქნება მოკავშირე რესპ. კანონმდებლობაში. გადაწესება იმ მეურნეობათა მიმართ, რომელნიც შედიან ასეთ საზოგადოებაში. სადაც მიწათსარგებლობის სხვა რამ წესია, ან ისეთ მეურნეობათა მიმართ, რომელნიც არ შედიან საადგილ-მამულო საზოგადოებაში, აგრეთვე მიწების ვადამდე ხელახალი დაყოფა მიწის საერთო სარგებლობის პირობებში, შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში: 1) მიწათმოწყობისა, 2) მეურნეობის გაუმჯობესებულ ფორმებზე გადასვლისა, 3) კულაკობასთან ბრძოლის აუცილებლობისა და 4) მიწის ჩამორთმევისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკურობისათვის მოკავშირე რესპუბლიკების წესით შეიძლება დაშვებულ იქნეს ნაწილობრივი გადაწესება—ნორმის ზევით მიწების ჩამორთმევა, ღამატება-დაკლება და სხვ.

მიწათმოწყობა ხელს უნდა უწყობდეს სასოფლო მეურნეობის საერთო აღორძინებას, ამ მეურნეობის კოოპერატიულად მოწყობას და მის კოლექტივიზაციას, კერძოდ—ბრძოლას ხარვეზობასთან, მიწების შორეულობასა და სხვა ნაკლებთან, მიწის ნაკვეთების საფუძველიან გაუმჯობესებასა და სხვ. სავალდებულო მიწათმოწყობა ნებადართულია ისეთ შემთხვევისათვის, როდესაც საკურო იქნება კულაკების მტაცებლობის შეზღუდვა, უკიდურესად მწვავე და არეული სა-

სოფლო-მეურნეობრივი ურთიერთობათა მოსპობა, საგადასახლებო ფონდის გამოყოფა და სხვა მიწათმოქმედება სახელმწიფო დაწესებულება—საწარმოებთან საპროდუქტისათვის და კოლექტიურ მეურნეობათა მიწის სივრცის შესაქმნელად მოადრება რიგს გარეშე; ამის შემდეგ, პარველ რიგში—იმ მეურნეობათათვის, რომლებიც გადადიან მ წათსარგებლობის ისეთ ფორმებზე, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიან სასოფლო მეურნეობის კოოპერატიულად მოწყობას, კოლექტივიზაციას და ტეხნ კური დონის აწვევას; რაც შეეხება ცალკე მეურნეობებს—აქ მიწათმოქმედება გატარდება უკანასკნელ რიგში, განცხადების დაკმაყოფილებაზე სრული უარის თქმით იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მეურნეობის შექმნა ხელს შეუწყობს კულაკის გაძლიერებას. კოლექტიურ და ნაკლებად შემქმნელ მეურნეობათ მიწათმოქმედების დროს უპირატესობა მიეცემა მათ სხვა შრომითი მიწათმოსარგებლეთა წინაშე. ყველა ღარიბი, ნაკლებად შემძლე—საშუალო და ყველა კოლექტიური მეურნეობათა მიწათმოქმედება გატარდება სახელმწიფო ხარჯით.

მე-VI თავში „გადასახლება“ დაწვრილებით განმარტებულია გადასახლების აზოცანები და მიზნები, გათვალისწინებულია მიწების მიცემის წესი, შეღავათები და სხვ.

სახელმწიფო განსაკუთრებულ დანმარებას უწევს და ხელს უწყობს კოლექტიურ მეურნეობათა (კომუნა, ნადი, ამნ.ნაგობა) მოწყობას და მათი მუშაობას, მასთანვე ამ ფორმებზე გადასვლას ნებაყოფლობითი ხასიათი უნდა ჰქონდეს. კოლმეურნეობას ეძლევა შეღავათები ერთიანი სას.სამეურნეო გადასახადის და კრედიტის დარგში. უპირატეობა მიწების მიღების მხრივ; მას გადაეცემა მიწები, რაც ამა საწყისების გამოცემამდე იჯარით ჰქონდა აღებული სახელმწიფო საადგ.მამულო ქონებიდან, სამრეწველო და დამამარე საწარმოები, შენობები, ინვენტარი და სხვ. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია მანქანებითა და იარაღით, თესილელობით, ჯიშოანი საქონლით და სხვ. და მიწათმოქმედებით რიგს გარეშე სახელმწიფოს ხარჯით. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყოველგვარი შეღავათები და ხელსაყრელი პირობები ეკონომიურ ღონისძიებათა დარგში იმ მიწათმოსარგებლეთათვის, რომელნიც გადავლენ კოლექტიურ ფორმებზე. ხელახალი დაყოფისა და მიწათმოქმედების დროს ის მიწა, რომელიც საზოგადოებრივად მუშავდებოდა, შეენარჩუნება სათანადო მიწათმოსარგებლეთ იმ შემთხვევაშიც—კი, როდესაც მისი რაოდენობა აღემატება იმ რაოდენობას, რაც უნდა რგებოდა მას განაწილების მიხედვით. გამოსვლის წესი, მონაწილეთა და მიწის სივრცის მინიმუმი, რაც საჭიროა გამოსვლისათვის, განისაზღვრება მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით (ადგილობრივი პირობებისა და მეურნეობის ხასიათის მიხედვით).

ცალკე თავი (VI) ეხება საბჭოთა მეურნეობას.

VII თავი ეხება შრომითი სარგებლობის მიწის იჯარას. შრომითი მეურნეობას (განსახლდრულ პირობებში) შეუძლიან მიწა იჯარით გასცეს. მიწა რომელსაც კულაკური მეურნეობა გასცემს იჯარით, ჩამოერთმევა მას საადგილ მამულო სასამართლო ორგანოს დადგენილებით იჯაროს ვადა—6 წელია. საეოლოსტო და სარაიონო აღმასკომს შეუძლიან იჯარის ვადა შეუმციროს 3 წლამდე იმ მეურნეობათ, რომელნიც, მიუხედავად სახელმწიფოს და ურთიერთ დახმარების საზოგადოებათა დანმარებისა, თითონ არ ამუშავებენ მიწას და სისტემატიურად აძლევენ იჯარით. უკეთუ საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ მეურნეობა თითონ არ შეუდგება მიწის დამუშავებას, ოცე დაჰკარგავს სარგებლობის უფლებას მიწის იმ ნაწილზე, რომელიც იჯარით აქვს მიცემული; მიწა ასეთ შემთხვევაში გადადის ან საადგილ-მამულო საზოგადოების განკარგულებაში, თუ იჯარით გამცემი შედიოდა ასეთ საზოგადოებაში, ან სახელმწ. სათიღარიგო ფონდში. მოახალშენეს შეუძლიან იჯარით გასცეს მიწა (გამოსვლის ადგილას ვადით 6 წლამდე გამოსახლების დროიდან. საიჯარო მიწის გადაცემა მოიჯარადრის მიერ სხვა პირისათვის შეეიჯარა; აკრძალულია ყოველი პირობის გარეშე და გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით, და მიწის სარგებლობის უფლების ჩამორთმევას.

VIII თავი უანსაზღვრავს დაქირავებული შრომით სარგებლობის უფლებას გლეხურ მეურნეობაში.

IX თავი ეხება საადგილ-მამულო საზოგადოებებსა და სოფლის საბჭოებს. საადგილ-მამულო საზოგადოების უფლება მოვალეობათა და საწყისების საფუძველზე საზოგადოებაში შესვლისა და ამ საზ. გაოსვლის წესის ზუსტი განსაზღვრა შეადგენს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპეტენციას. მიწათმოსარგებლობის და მიწათმოქმედების მოწესრიგების დარგში სოფლის საბჭოე-

ბის ხელმძღვანელობას უწევენ საად.-მამ. საზოგადოებათა მუშაობას ამტკიცებენ საზოგადოებათა დადგენილებებს იმ საკითხებზე, რაც ეხება მიწათსარგებლობის ფორმების ამორჩევას, მიწათ-მოწყობის პოლიტიკის მიღებას; ადგენენ იმ მიწათმოსარგებლეთა სიებს, რომელთაც კანონით შეღავათები აქვთ მინიჭებული მიწათმოწყობის მხრივ და კრედიტის სამიწათმოწყობო ხარჯების გასასტუმრებლად.

X და XI თავები ეხება სპეციალურ დანიშნულების მიწებს და ქალაქის მიწებს.

სახელმწიფო სათადარიგო მიწების (XII თავი) საადგილ-ნამულო ორგანოების უშუალო განკარგულებაშია და პირველ რიგში იგი მოხმარდება დიდი სახ. სას.-სამ. საწარმოთა და კოლექტიურ მეურნეობათა (ს. სამ. კომუნა, ნადი, ამხანაგობა) მოსაწყობად და მხოლოდ ამის შემდეგ ასეთი მიწები შეიძლება მიეცეს არაკოლექტიურ მეურნეობათ.—ასეთი მეურნეობის მიერ იჯარით აღებული სახ. სათად. მიწის სხვა პირისათვის გადაცემა (ქვეიჯარა) აკრძალულია და გამოიწვევს გარიგების მონაწილეთათვის გიჟის აარგებლობის უფლების ჩამორთმევას და პასუხისმგებლობაში მიცემას სისხ. სამ. წესით.

ყოველი დავა, რაც აღძვრის მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის დროს (XIII თავი) უნდა გადაწყდეს იმ მიწის მდებარეობის ადგილას, რომლის შესახებაც აღძრულია დავა, და იმ წესით, რაც განსაზღვრულ იქნება მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით.

გადასახადები.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-46 მუხ. შეცვლის შესახებ (ს. ა. კ. და ს. კ. ს. 1928 წ. დეკემბრის 12 დადგ.—„იზვესტია“ № 289, დგკ. 13).

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს შაქრის ქარხლის, სელისა და ბამბის ნათესების გაფართოებას, ამ მცენარეების ნათესების ერთი დესიატინა მიწის შემოსავლიანობის ნორმად დაწესდება ნახევარი იმ ნორმისა, რაც ამა თუ იმ აღმ.-ტი-იტორიალურ ერთეულში განსაზღვრულია მარცვლოვან კულტურებით დაკერილი დესიატინა მიწის შემოსავლიანობისათვის. დადგ. ძალაში შედის 1929—30 საგანაკვეთო წლიდან.

კავშირგაბმულობა.

საფოსტო შეღავათების შესახებ არაპერიოდულ გამოცემათა გადაგზავნაზე (ს. კ. ს. 1928 წ. ოქტომბრის 30 დადგ.—„იზვ.“ № 83, დგკ. 6)

შეღავათი ეხება იმ არაპერიოდულ გამოცემათ, რასაც გზავნიან საბჭოთა, პროფკავშირების და პარტიული გამომცემლობანი და სას.-სამ. კოოპერაციის და ს. ს. რ. კავშ. სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრ. კავშირის გამომცემლობანი, დადგ. წარმოადგენს ს. ს. რ. კავშ. ს. კ. ს. 1926 წ. დგკ. 6 დადგენილების (კან. კრ. 1926 წ. № 76, მუხ. 614) მე-8 მუხლის ახალ რედაქციას.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. პანონომდებლობა

1928 წ. დეკემბრის 16-დან დეკემბრის 31-დღე.

გადასახადი და გამოსაღები.

საგადასახადო კომისიების შედგენილობის შესახებ. (ც. ა. კისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. ნოემბრის 13 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 292, დეკემბრის 19).

გამოც. თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ. და ს. კ. ს-ის 1928 წ. მაისის 9 დადგ. „საგადასახადო კომისიების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ და „საგადასახადო კომისიების დებულებისა“ (ს. ს. რ. კ. კან, კრ. 1928 წ. № 29, მუხ. 261 და 262).

დაწერილებით გათვალისწინებული სარაიონო, განსაკუთრებული, სამაზრო და რესპუბლიკანური საგადასახადო კომისიების შედგენილობა „კომისიები შესდგება დაწესებულებათა და ორგანიზაციების და გადამხდელთა წარმომადგენლებისაგან“ კომისიის ყოველ წევრს უნდა დაენიშნოს მოადგილე.

გადამხდელთა წარმომადგენელი დაინიშნება ერთი წლით, ხოლო დაწესებულებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელი—კი—გაწვევამდე.

კომისიის სხდომაში მონაწილეობას იღებს იმ გადასახადის გადამხდელთა და საწარმოთა იმ კატეგორიის წარმომადგენლები, ვისაც ენება განსახილველი საქმე.

1928—29 საგანაკვეთო წელს წყლის გამოსაღების გატარების წესის შესახებ ამ.კავკ. ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე. (ს. კ. ს-ის 1928 წ. დეკემბრის 27 დადგ № 84,—„ზარ. ვოსტ.“ № 301, დეკ. 29).

გამოც. თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კისა და ს. კ. ს-ის მიერ 1928 წ. აგვისტოს 1 თარიღით დამტკიცებული დებულებისა „წყლის გამოსაღების შესახებ“ (ს. ს. რ. კავშ. კან. კრ. 1928 წ. № 49, მუხ. 435).

ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა უნდა გამოსცენ დადგენილებანი წყლის გამოსაღების გატარების შესახებ ზემოაღნიშნულ დებულებასთან შეთანხმებით, გარდა ამისა დადგენილებაში არის რამდენიმე ცალკე მითითება გამოსაღების გამოანგარიშებისა და გადახდების წესისა და საფუძვლების შესახებ. საერთო გამოსაღების განაწილების დროს ცალკე ერთეულებს შორის ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ რა საექსპლოატაციო ხარჯი ხდება ყოველ მათგანს ნამდვილად. ამ წესის გადახვევა შეიძლება მხოლოდ ნატურალური ბეგარის სიმძიმისა და ამა თუ იმ რაიონის მეურნეობათა გადახდის უნარიანობის მიხედვით.

(ცალკე ს. კ. ს-ოებს შეუძლიან შეუმცირონ გამოსაღები მეურნეობათ, რომელნიც შედიან წყლის კოლექტივებში (სამელიორაცია ანხან. და სხვ.), იმის მიხედვით, თუ რამდენად იღებს მონაწილეობს კოლექტივი საექსპლოატაციო ხარჯებში; შეუძლიან გაანთავისუფლოს სრულებით ან ნაწილობრივ ცალკე მეურნეობანი“ იმ პირობით—კი, რომ ცალკე რესპუბლიკაში შეკრებილი წყლის გამოსაღების საერთო თანხით დაიფაროს მთელი საექსპლოატაციო ხარჯი.

გამოსაღების გადახდის უკანასკნელი ვადა—1929 წ. თებერვლის 15. ცალკე რესპუბლიკას შეუძლიან დაინიშნოს სხვა ვადაც, ხოლო იგი არ უნდა სცილდებოდეს ამ 15 თებერვალს.

საჩივრის შეტანის ვადას და მისი განხილვის წესს განსაზღვრავს ცალკე რესპუბლიკის ს. კ. ს. წყლის გამოსაღების დებულების 18 მუხ. დაცვით.

თვითდაზავზკა.

„ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების დარგში გლახთა მოსახლეობის უფლებათა თაობაზე“ ამ.-კავ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1927 წ. იანვრის 31 თარიღით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ (ც. ა. კ-ის 1928 წ. დეკემბრის 17 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 301, დეკ. 29).

გაუქმდა სათაურში აღნიშნული დადგენილება, გამოქ., ა-კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1927 წ. № 3, მუხ. 32 („მოსახლეობის თვითდაზავზკის შესახებ“ ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს.-ის 1927 წ. აგვისტოს 24 დადგ. მე-19 მუხ. დაკავშირებით).

კრედიტი.

ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ.-ში კოოპერაციისათვის მისაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდის დებულების შეცვლის შესახებ (ს. კ. ს-ის 1828 წ. დეკემბრის 20 დადგ. № 83,—„ზარ. ვოსტ.“ № 300, დეკ. 29).

გამოც. თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. აგვისტოს 10 დადგ, „კოოპერაციის გრძელვადიანი კრედიტების საფუძვლების შესახებ“, (ს. ს. რ. კავშ. კან. კრ. 1928 წ. № 52, მუხ. 451).

დადგ. შეცვლილია სათაურში აღნიშნულ დადგენილების (ა-კ კან. კრ. 1928 წ. № 10. მუხ. 113) 10 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტ.

ცვლილება იმაში გამოიხატება. რომ „ა“ პუნქტში იმ კოოპერატივების კავშირების რიცხვიდან, რომელთაც თავისი წმინდა მოგებიდან უნდა გადაარიცხონ ფონდში არა ნაკლებ 5 პროცენტისა, გამოირიცხულია სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კავშირები, ხოლო „ბ“ პუნქტში ძირეული ქსელის კოოპერატივთა რიცხვიდან გამოირიცხულია სას.-სამეურნეო საკრედიტო ამზანაგზბანი.

ამ პუნქტების შენიშვნა დატოვებულია უცვლელად.

სახალხო განათლება.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე იმ პირთა სავალდებულო სამსახურის ვადის განსაზღვრის შესახებ, ვინც დამთავრებენ საგზაო პროფგანათლების განყოფილებასთან არსებულ სარკინისგზო ტექნიკუმს (ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის 1928 წ. ნოემბრის 10 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 291, დეკ. 18).

იმ პირთათვის, ვინც სტიპენდიას იღებდა ან სამსახურიდან იყო მივლინებული ტექნიკუმში ან კურსებზე ჯანაგირის შენარჩუნებით, სავალდ. სამსახურის ვადა განისაზღვრება ვადით, რაც მივლინებულმა გაატარა ტექნიკუმში ან კურსებზე, ხოლო სტიპენდიატი სარგებლობდა სტიპენდიით; იმ პირთათვის, ვინც უფასოდ სწავლობდა—სწავლების ყოველი წლისათვის ნახევარი წლის სამსახურით.

სამსახურვალდებულ პირს რკინის გზის ადმინისტრაციამ უნდა მისცეს ცოდნის შესაფერისი თანამდებობა, ხოლო თუ არ მიანიჭებს ასეთს ერთი ოვის განმავლობაში, აღნიშნული პირი ჩაითვლება განთავისუფლებულად სავალდებულო სამსახურისაგან.

ის პირი, ვინც სრულდებით აარიდებს თავს ან არ იმსახურებს დანიშნულ ვადას, უნდა აუნაზღაუროს რკინის გზას მასზე გაწეული ხარჯი (გარდა ნამუშევარ დროისა).

დადგენილება ვრცელდება ყველაზე, ვინც კი, 1928—29 სამოსწავლო წლიდან დაწყებულნი, დამთავრებს ტექნიკუმს ან კურსებს.

საბინაო კანონმდებლობა.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებულ საცხოვრებელ სახლებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ. (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. დეკემბრის 17 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 294, დგ. 21].

გამოც. თანახმად ს. ს. რ. კავშ. ც. ა. კ. და ს. კ. ს. 1928 წ. თებერვლის 15 დადგენილებისა „სახ. და საზღ. საქმეთა სახ. კომისარიატის ორგანოებისათვის მათთვის მიკუთვნებულ სახლებიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლების უფლების მინიჭების შესახებ [ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1928 წ. № 13, მუხ. 110].

აღნიშნულ ორგანოებს უფლება აქვთ გამოასახლონ მოქალაქენი მათთვის აუცილებლად საცხოვრებელი სივრცის მიცემით (არა ნაკლებ ფაქტიური ნორმისა ანა თუ იმ ადგილისათვის), ხოლო მშრომელთა კატეგორიებისათვის—აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებით.

ამ საცხოვრებელ სივრცეს ერთი თვის ვადაში, გამოჰყოფს ადგილობრივი საბჭო აღმასკომის კომუნალურ ფონდიდან, სამხ.-სახ. სახ. კომ. ორგანოს განცხადებით.

გამოსახლებს—მილიციის ორგანო, იმ ორგანოს განცხადებით, რომელიც ამ სახლებს განაგებს.

კომუნალური მშენებლობა.

ტფილისის ქალაქის საბჭოს კომუნალური სექციის დაჯილდოების შესახებ (ც. ა. კ-ის 1928 წ. დეკემბრის 23 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 299, დგ. 27).

დადგენილებით სწორად არის ცნობილი საქ. ც. ა. კ-ის დადგენილება ტფილ. საბჭოს კომუნალური სექციის გამოყოფის შესახებ, როგორც უკეთესისა და სამაგალითოსი საქართველოში, აღნიშნულია განსაკუთრებული მიღწევები და მადლობა ეცხადება სექციის მთელ შედეგნილებას და მის ხელმძღვანელებს.

მუშისხილური ნაწილი

შინაპარსი: იუსტახკომის ცირკულარები №№ 208-01, 208-02, 208-03, 208-04, უზენაეს სასამართლოს ცირკულარები № 34 და № 1. იუსტიციის და ფინანსთა სახ. კომისარიატების დადგენილება.

ცირკულარი № 208-01

ყველა მაზრის პროკურორს

გლებთა სახელმწიფო დაზღვევის შესახებ

როგორც ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის მიერ საპროკურატურო განყოფილებაში გადმოგზავნილ ცირკულარებიდან სჩანს, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვის აგენტები დახოცილი საქონლისათვის დაზღვევის გაცემის დროს, აიძულებენ გლებს დაიხდევონ სიცოცხლე და აღნიშნულ თანხიდან უქვითავენ იმ ფულს, რაც უნდა გადახდონ მათ სიცოცხლის დაზღვევის პოლისების მისაღებად. გარდა ამისა სახ. დაზღვევის აგენტები არ ერიდებიან კიდევ სხვაგვარ უკანონობას და ზეგაუღენას გლებთა სიცოცხლის დაზღვევის საქმეში. ამიერ-კავკასიის გამგეობის დირექტორები თანამად, პიროვნების დაზღვევა, განსაკუთრებით გლებების სიცოცხლისა, უნდა ხდებოდეს ნებაყოფლობით, რადგანაც ყოველივე ძალდატანებას ამ მხრივ შეუძლიან გული აცრუებინოს მოსახლეობას სიცოცხლის დაზღვევისაგან.

